

ლიტერატურული გაზეთი

№21 (253) 15 - 28 ნოემბერი 2019

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ვახტანგ ჯავახიძე

თურმეობითი

მიყვარს თურმეობითი: დაგვიწყია სვლა-ნასვლა,
 თურმე ნაპოლეონმა იტალია გაძარცვა.
 თურმე ილბალს განაგებს ვარსკვლავების ორბიტა
 და მრავალი იმედი გაათურმეობითა.
 თურმე შოთას თამარი... თურმე ბესიკს ანები...
 თურმე დადიანები ხშირად აგვიანებენ.
 თურმე საუკეთესოს ნიშნავს ფილიგრანული...
 თურმე გალაკტიონმა თავი... თურმე გრანელი...
 თურმე ნიშნიანიძეს ბევრჯერ დაუკვებნია
 და ჩანტლაძეც ყოფილა რუსთაველის სეხნია.
 თურმე დაუბრებულან მავანი და მავანი,
 თურმე მამალს ოდესღაც ერქვა ამპარტავანი.
 თურმე სარკოფაგიდან დგება ხოლმე მუშია,
 ზოგიერთი ქართველი თურმე რუსეთშია.
 თურმე განიჩევიან რაობა და რაება,
 თურმე მამაკაცებსაც უყვართ ნაჭორავება.
 თურმე მიქელანჯელო... თურმე ნიკო ფიროსმანს...
 თურმე დამარცხებისთვის გაიმარჯვა პიროსმა.
 თურმე ერთხელ ბებერმა ჰომეროსმაც ჩათვლიმა
 და არსენას ესროლა საკუთარმა ნათლიმამ.
 თურმე სად ერეკლე და სად მარია კალასი,
 როცა დარღვეულია გენდერული ბალანსი.
 თურმე აღარ ამართლებს უკვე მსახიობობა
 და ვერ გაამაჯამეს ოფოფი და ობობა.
 თურმე დაუმეგობრდა გვატემალას კენია,
 მაგრამ გვატემალაში შვიდი პარასკევია.
 აღარ ექომაგება თურმე ვასალს ვასალი,
 თურმე თურმეს არა აქვს მუხრუჭი და ვაგზალი
 და თუ მოიპოვებენ სახლებს უსახლკარონი,
 თურმე აღარ მოქმედებს თურმეობის კანონი.
 ბევრი წყალი ჩაივლის უჩემოდ და უშენოდ,
 მოვასწროთ და მოყვარეს მტერი გადავუშენოთ.
 მსურს — დავრგო და დავტოვო ერთი ჩემი კოპიტო,
 რაკი ნუთისოფელიც გახლავთ თურმეობითი.

IV

ინტერვიუ

ბესიკ ხარანაული:

ვილაცამ შეიძლება იფიქროს, რომ ეს ყველაფერი მოგონილია. არა-და, სიმართლეა. მე, მაგალითად, ასე ვარ. ამ დროს პირველქმნილ თავისუფლებას გრძნობ, გახსნილი ხარ, თუმცა ეს გახსნილობა რაღაც მომენტამდე გრძელდება...

პირამიდებს ჰგვანან მცირე ლექსები — რთული შესათხზველია. ახლა ასე ვარ: სტრიქონია-მეთქი ჩემი მანძილი, საკუთარ თავს ვეუბნები. როგორც კი ამ მანძილს გავცდები, ნაკლებ სიამოვნებას ვიღებ, ლიტერატურა მითრევს თავისკენ...

ბარათაშვილის პოეზია მძლავრად „დადის“ გალაკტიონთან. ეს არავის უკვირს, მაგრამ უცნაურია, რომ მისი რბოლა აკაკისთანაც იგრძნობა. თავად აკაკი კი ყველგანაა, ყველა დიდ პოეტთან, იმიტომ, რომ ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. ქართული პოეზიის მხსნელია აკაკი. იმ სიმსუბუქეს, რაც მან მოიტანა, მის გარეშე ვერავინ მიეკარებოდა...

რასაც არ უნდა ქმნიდე, სინდისს ხომ არ კარგავ? როგორ შეიძლება რითმიან ლექსს დაუპირისპირდე?! ეს დაპირისპირება არცაა. ყველა სცენარი რევოლუციური გზით ხომ არ ვითარდება. პოეზია რევოლუციის გზით სვლა ხომ არაა?! რაღაც ახალს რომ გააკეთებს ადამიანი, მერე ამბობენ, რევოლუცია მოახდინაო, მაგრამ წერის დროს კაცი ამაზე ფიქრობს განა?!

ისე ვნერ, როგორც შემოძლია. ერთადერთი ნაკლი ჩემი ნაწერებისა ისაა, რომ ბევრი პოეზიაა. ბევრი პოეზია სიჭარბეა და სიჭარბე აფუჭებს მკითხველს, ადამიანს, მაგრამ რა ვქნა — მე კიდევ უპოეზიოდ ყოფნა არ გამომდის, არ შემოძლია!

გიორგი ლობჯანიძე

დამლახუჭა

როგორ მინდოდა სიყვარული... არ გამოვიდა...
 არც ქარიშხლიდან, არც წვიმიდან და არც თოვიდან...
 არც საზამთროდან, არც ნესვიდან და არც ყოლოდან,
 მინდოდა, ერთი კუზიანი მეც რომ მყოლოდა...
 არ გამოვიდა არც ქალიდან და არც კაციდან...
 მხურვალე გული ჩაიფერფლა და გადაცივდა...
 სიხარული თუ მწირი იყო, დარდი სულ იყო,
 დღემდე ვერსადაც ვერ ვიპოვე ჩემი სულიკო...
 უნდა მეცადა რაიც, იმას ამბად ვგებულობ...
 მე აღარ გეძებ... გამო, გამო, გამარჯვებულო!

V

პოეზია

ქეთი ნიჟარაძე

ალა დათუკიშვილი

თარგმანი

ფედერიკო გარსია ლორკა

ესპანურიდან თარგმნა დავით ნერედიანმა

რობერტ ვინონენი

რუსულიდან თარგმნა ბათუ შარელმა

ტომას სტერნზ ელიოტი

ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა

ნენსი ჰიუნგერი, კერსტინ ჰენზელი,

ოზლემ ოზგულ დუნდარი

გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა

ესსე

ლანა კალანდია

AMERICA LATINA

ნუგზარ ზაზანაშვილი

ბამქრალი პოეტი

ჩანაწერები

მიხო მოსულიშვილი

გზისა და მოგზაურისა



„რაც გახსოვს და როგორც გახსოვს“

მას შემდეგ, რაც კედელთან დასახვრეტად მდგომ აურელიანო ბუნდისთან ერთად ის დღე გავიხსენეთ, როდესაც ყინულს პირველად შეახო ხელი; მას შემდეგ, რაც იმ დილით, როდესაც სანტიანო ნასარი უნდა მოკლან, დილის ექვს საათზე ეპისკოპოსის დასახვედრად გავიღვიძეთ; მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკს აღარავინ სწერს; მას შემდეგ, რაც სანტა სოფია და ლე პიედამა შვილს მოცემული პირობა შეუსრულა და თავი სამზარეულოს დანით მოჰკვეთა; მას შემდეგ, რაც აურელიანო ბუნდია პილარ ტერნერას დილაბინდისას საძინებელში გამოეცხადა და თავისი პირველი ბრძანება გასცა: შემეყარე — გაბრიელ გარსია მარკესმა დაწერა ნიგნი, რომელსაც მკითხველი ათწლეულები ელოდა.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ ავტობიოგრაფიული რომანია. ჟანრის კლასიკის თანახმად, ავტორმა მეტ-ნაკლები სიზუსტით უნდა მოგვითხროს საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ იმ მწერალზე ვსაუბრობთ, რომელსაც ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე კონტროვერსული ტერმინი — მაგიური რეალიზმი — დაუკავშირდა. შესაბამისად, „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ ამ აზრობრივ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

რომანს საგულისხმო ეპიგრაფი აქვს ნამძღვარებული: „ცხოვრება განვლილი დღეები კი არ არის, არამედ ის, რაც გახსოვს და როგორც გახსოვს, იმისთვის, რომ მოჰყვე.“ ეს სიტყვები ერთგვარი გასაღები შეიძლება იყოს მარკესის მსოფლალქმისა და ესთეტიკური ღირებულებების გასაზრებლად. ეპიგრაფით მწერალი გვიხსნის, რომ მისთვის „განვლილ წლებზე“ — „სინამდვილეზე“ — უპირატესი ისაა, რაც მესხიერებამ შემოინახა, თუმცა იქვე გვიხსნის ეჭვებისა და ვარაუდებისათვის განკუთვნილ სივრცეს და მიგვანიშნებს, რომ „რაც გახსოვს“ და „როგორც გახსოვს“, შესაძლოა, სულაც ილუზორული იყოს და არ შეესაბამებოდეს სინამდვილეში ნანახსა და გაცდილს. მარკესს, როგორც მწერალს, წარსულიდან მხოლოდ ის აინტერესებს, რაც შეიძლება, მოჰყვეს ან სხვაგვარად — რისი მხატვრული ტრანსფორმაციაც შესაძლებელია, რაც ესთეტიკურ კატეგორიად შეუძლია აქციოს. მისი მსოფლალქმა, ცხოვრება, მოგონებები, გაცდები, ადამიანები, ყველაფერი, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — ლიტერატურას, თხრობას. არც ამ რომანის მკითხველებისთვის იქნება გაბრიელ გარსია მარკესის რეალური ბიოგრაფია მის მხატვრულ რეალობაზე უპირატესი, თუმცა, ბევრ საგულისხმო ამბავს გაიგებს მწერლის თანამედროვე ეპოქის, ლიტერატურული პერსონაჟებისა და პირადი ცხოვრების შესახებ.

„ჩემი მშობლები კარგი მოხრობელები იყვნენ და ხშირად მიამბობდნენ თავიანთი სიყვარულის შესახებ, — წერდა მარკესი, — მაგრამ წლების შემდეგ, როდესაც მათი სიყვარულის შესახებ რომანის დაწერა დავიწყე, რეალობასა და წარმოდგენას შორის ზღვარი დაკარგული მქონდა“. ამ სიტყვებიდან მკაფიოდ ჩანს, როგორი ბუნდოვანი და ძნელად მოსახელთებელია ზღვარი სინამდვილესა და წარმოსახვას, ნამდვილსა და ილუზორულს, რეალურსა და მაგიურს შორის. „მწერალი ერთადერთია, ვისაც შეუძლია, ერთხელე სასწაულებში დაარწმუნოს“ — ესეც გაბრიელ გარსია მარკესის ფრაზაა, მაგრამ პარადოქსულია, რომ მარკესის მკითხველისათვის, შესაძლოა, ყველაზე წარმოდგენილი, „სასწაულები“ კი არაა, სწორედ ის იყოს, თუ რამდენადაა მისი ნიგნები ნამდვილი ამბებით შთაგონებული.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ — ეს არის ნოსტალგიური მოგზაურობა საკუთარ წარსულში, ეპოქის ისტორიულ რეალიზმსა და იმ კულტურულ სივრცეში, რომელთანაც მწერალი სრულად აიგივებდა თავს. ავტორები, რომლებმაც რომანის წერისკენ უბიძგეს, ჩრდილოამერიკელი მწერლები იყვნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ღრმა სამხრეთის კულტურა და კარიბული ხასიათი შთააგონებდა, რომლის როლიც შეუფასებელია მისი, როგორც ადამიანისა

და მწერლის ჩამოყალიბებაში. მე იმ ქვეყანაში ვცხოვრობდი, სადაც ყველაზე დაუფერებელი ამბები სრულიად ბუნებრივი რამ იყო, წერს ერთგან.

ნიგნის შექმნის სურვილი მაშინ გაუჩნდა, როდესაც დედასთან ერთად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მამაპაპისეული სახლის გასაყიდად არაკატაკაში ბრუნდებოდა. ნოსტალგიური მოგზაურობით შთაგონებული დედას ნავსადგურზე დაემშვიდობება და რედაქციაში დაბრუნებისთანავე ახალი რომანის წერა იმ სიტყვებით დაიწყო, რომლითაც დედამ მიმართა:

— დახმარების სათხოვნელად მოვედი. მინდა, სახლის გასაყიდად გამომყვე.

თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ დაუსვა ამ ნიგნს ბოლო წერტილი: „ორმოცდაათ წელზე მეტი დამჭირდა იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი — დიდი ნიგნები მაშინ კი არ იწერება, როცა ჩვენ გვიწერს, არამედ მაშინ, როდესაც თავად მოისურვებენ“.

მარკესზე ბევრი დაწერილა და მომავალშიც დაიწერება, მაგრამ რა უნდა იყოს მკითხველისთვის უფრო საინტერესო, ვიდრე მწერლის მონათხრობი თავისი ბავშვობის, ცნობიერების პირველი გამოღვი-

ვრძნეულია, ყველაფერ არის, ყველაფერი იცის, ყველაფერს გრძობს, ურსულაზე დგას ბუნდების ქვეყანა. „ურსულას დედაჩემის ნაკვები აქვს, მაგრამ იმ ქალების შტრიხებსაც ატარებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე შემხვედრია“.

ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ პიროვნებას, რომელიც მისი საუკეთესო მოთხრობის თემად იქცა — პოლკოვნიკი ნიკოლას მარკესი. მას შემდეგ, რაც კოლუმბიის ხელისუფლებამ ვეტერანებისთვის პენსიის დანიშნის შესახებ გამოაცხადა, ფოსტის ყოველ მოსვლას ისე ველოდით, როგორც უფლის გამოცხადებასო — გულისტკივილით იხსენებს მწერალი. ამ მარტობაზე, გულგრილობასა და იმედგაცრუებაზე გვიამბობს „პოლკოვნიკს არავინ სწერს“. ნიკოლას მარკესის საყვარელი გატაცება, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს თევზები, სამუდამოდ დარჩა მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მისტიური ოჯახის, ბუნდების, საიდენტოფიკაციო ნიშნად.

ამ ნიგნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, გაბრიელ გარსია მარკესის მკითხველისათვის შედარებით უცნობი მხარე, მისი ჟურნალისტური საქმიანობაა. რეპორტაჟი მსოფლიოში საუკეთესო პროფესიის

ფაქტს გავცნობით. „ფოთოლცვენას“ რომ წერდა, დიდხანს ვერ გადაწყვიტა რომანის სახელწოდება. ნიგნაკში ინიშნავდა ყველა შესაძლო ვარიანტს. ოთხმოცზე მეტი სათაური დამიგროვდა და ბოლოს, როდესაც პროლოგის დაწერის სურვილი გადავლახე, თვალეში ისევ პირველი ვერსია შემომეფეთათ — იხსენებს.

ლიტერატურის მკვლევარები კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კვლევას, მაგრამ შეუფასებელია თავად მწერლის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორი რეაქციული შრომით იწერებოდა მისი ნიგნები. პროფესიული სრულყოფილების მონა ვარო, ამბობდა. ეს აიძულებდა, წინასწარ განესაზღვრა ნიგნის ზომა, გვერდების ზუსტი რაოდენობა ყოველ თავში და მთლიანად ნიგნის მოცულობა. ამ ანგარიშის მცირე ცდომილებაც კი სტრუქტურული ცვლილებისკენ უბიძგებდა. მცირე მექანიკურ შეცდომას, როგორც შემოქმედებით კრახს, ისე განიცდიდა.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ დაწერილებით გვიამბობს მწერლობასა და ჟურნალისტურ კამბოჯოში მარკესის პირველი ნაბიჯების შესახებ. თავისი მოთხრობის პირველ პუბლიკაციას სრულიად შემთხვევით კაფეში წააწყდა. პირველი განცდა, რომელიც დამეფულა, ის იყო, გაზეთის საყიდელი ხუთი სენტავო არ მქონდაო — იხსენებს. არადა, ხუთი სენტავო ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო სილატაკისა, რადგან კოლუმბიამ მაშინ ხუთი სენტავო ყველაზე ელემენტარული საგნები ღირდა: ყავა, პური, გაზეთი... სასონარკვეთილი ქუჩაში გავარდნა და უცებ ტაქსიდან გამოსულ უცნობ, დარბაისელ მამაკაცს დაინახავს, რომელსაც ხელში გაზეთი უჭირავს. „მივხედი და პირდაპირ ვთხოვე, რომ ეჩუქებინა“. აჩუქეს!

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ მარკესის ცხოვრების მხოლოდ ერთ ეპოქას ასახავს. რომანი მწერლის ევროპაში გამგზავრებით სრულდება. მას განზრახული მქონდა, ნიგნის გაგრძელება დაეწერა, თუმცა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. ეს ფაქტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ტექსტს.

და ბოლოს, ქართული თარგმანების შესახებ: მარკესის ნიგნები საუკეთესო ქართული მთარგმნელების ხელში აღმოჩნდა. ელზა ახვლედიანის „მარტოობის ასი წელი“ კიდევ მრავალ თაობას წარუძღვება მაკონდოს ჯადოსნური სამყაროსკენ. თვა გვასალიას დიდი დამსახურებაა მარკესის ტექსტების პოპულარიზაცია საქართველოში. რაც შეეხება კოლუმბიელი მწერლის ავტობიოგრაფიულ რომანს, „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედების გზამკვლევა, უფრო მეტიც, სავალდებულო საკითხავია კაცობრიობის იმ მშვენიერი ნაწილისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ სწავრა, რომ „დიდი ნიგნები მხოლოდ ქალაქში არ იწერება, დიდ ნიგნებს ცხოვრება წერს და ყოველთვის მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებად ველოდებით“.

„ვის უძღვნიან ნიგნებს?“

„ამ შენი სახელი უნდა იყოს“ — ამ ენიგმატური მიძღვნით იწყება ცნობილი მექსიკელი პოეტის, რუბენ ბონიფას ნუნის პოეტური კრებული. ლიტერატურის ისტორიამ შემოგვიჩინა სხვა, გაცილებით მკაფიო შინაარსის მიძღვნები, რომელთა ადრესატები არიან მეგობრები, რედაქტორები, მშობლები, ცოლები, საყვარლები, შვილები და მტრებიც... ამ უკანასკნელის ყველაზე ცნობილი მაგალითი, ნობელის პრემიის ლაურეატის, ესპანელი მწერლის — კამილო ხოსე სელას მიძღვნაა, რომელმაც „პასუხალები დურატეს ოჯახი“ თავის მტრებს მიუძღვნა: „ჩემს მტრებს, რომლებიც ასე დამემარანენ კარიერის შექმნაში“. ამ გრძელ და საინტერესო სიაში შეიძლება, ვიპოვოთ თავისებური „არმიძღვნებიც“ — „ვაცხადებ მხატვრულ ლიტერატურად და არავის ვუძღვი“ (ბუკოვსკის „ფოსტა“).

მიძღვნებზე ფიქრისკენ მარო ვარგას ლიოსას ბოლო თარგმანმა გვიბიძგა, რომელმაც ბევრი თავსატეხი გავიჩინა.

ლანა კლანდია

AMERICA LATINA



ძების, თავისი დიდი ოჯახის, დედის, პოლკოვნიკი ბაბუსი და, ზოგადად, მისი ნიგნების შთამავლობელი მოვლენებისა და ადამიანების შესახებ. რომანში ასობით პერსონაჟია, მაგრამ თუ მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებზე მოვიხილოთ ყურადღების შეჩერებას, ალბათ ორი ადამიანი უნდა ვახსენოთ: დედა და ბაბუა — პოლკოვნიკი ნიკოლას მარკესი. ორივე მისი მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟებად იქცა.

დედის გავლენისა და ხასიათის შესახებ მწერალი დიდი ალტაცებით მოგვითხრობს. ხანგრძლივი განშორებების მიუხედავად, მათი ემოციური კავშირი არასოდეს განწყვეტილა. „მას შემდეგ, რაც მატერიალური საშუალება გამიჩნდა, ყოველ კვირას, ერთსა და იმავე დროს, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ვურეკავდი არა იმის გამო, რომ როგორც ამბობენ, კარგი შვილი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ეს საკვირაო ზარები ყოველთვის ჩვენი ურთიერთობის ნაწილად მიმაჩნდა“. დედა სიცოცხლის ბოლომდე მარკესის შთაგონების წყარო და მისი ერთგული მკითხველი იყო. თავისი ძლიერი და რომანტიკული ხასიათით არა მხოლოდ განსაზღვრა მწერლის პიროვნული თვისებები, არამედ მისი პერსონაჟების ინსპირაციის წყაროდ იქცა. ბევრი პერსონაჟი სწორედ მის თარგზე მოჭრა მწერალმა. დედის გარდა არის კიდევ ერთი ქალი, რომლის ხატიც წარუშლელ მოგონებად მიჰყვება მის ცხოვრებას. ქალი, რომელმაც „გულმოდგინედ მწყემსა“ მისი ბავშვობა. ბებია ტრანკლინა — ადამიანი, რომელიც მწერლისთვის ყოველთვის იყო იმ უხილავ ზღვარზე, რეალურსა და წარმოსახვით სამყაროს შორის რომ არსებობდა. ცხადია, რომ „მარტოობის ასი წლის“ მატერიალის — ურსულას სახეში ამ მხატვრული ტრანსფორმაციის მკაფიო კვალი ამკარად იგრძნობა. ურსულა კონცეპტუალური პერსონაჟია — ის

უმალეს ჟანრად მიმაჩნიაო, წერდა. სწორედ რეპორტაჟს უწოდებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, რომელსაც საფუძვლად ნამდვილი ამბავი დაედო. ისტორია, რომლის დაწერის სურვილიც ოცდაათი წელი სტანჯავდა და მხოლოდ მაშინ გაბედა, როდესაც დედამ, ლუიზა მარკესმა, ტრაგედიის შესახებ დაწერის ნება დართო. თუმცა, დედას არასოდეს ნაუკითხავს მოთხრობა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის შედევრად იქცა. არ ნაუკითხავს იმ სიტყვების გამო, რომელიც მწერალმა მთელი ცხოვრება, გულში უძვირფასესი სამკაულივით ატარა: „ის, რაც ცხოვრებაში ასე ცუდად დამთავრდა, არ შეიძლება, ნიგნში კარგად გამოვიდესო“. არადა, მე თავისთავად დანაშაული კი არაა, დანაშაულზე კოლექტიური პასუხისმგებლობის ლიტერატურული თემა მაინტერესებდაო — დაწერს მოგვიანებით მარკესი. ცხადია, რომ ამ მოთხრობის ეტიკური დილემა მსხვილისა და ჯალათის ურთიერთობაზე კი არაა, სწორედ დანაშაულის ნამქებებელი, შემყურე თუ მომლოდინე ადამიანების პასუხისმგებლობაა. გავიხსენოთ სანტიანოს დედა, რომელმაც სასიკვდილოდ განწირულ შვილს დაუფიქრებლად ჩაურაზა კარი; მღვსავი, რომელმაც დანა უხალისოდ ალესა; ძმები, რომლებიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იძულებულები არიან საზოგადოებრივი დაკვეთა შესარულონ და დის ღირსების დასაცავად სანტიანო ნასარი მოკლან; და, რომელმაც მთელი ცხოვრება უნდა ატაროს სინაშლის ტვირთი. მარკესმა აღწერა გარემო, სადაც გულგრილობა თუ პირადი პასუხისმგებლობიდან გაქცევა საზოგადოების თითოეულ წევრს დანაშაულის თანამონაწილედ აქცევს.

მწერლის პროფესიული ჩვევებისა და „საყვარელი დემონების“ (მისივე სიტყვებით) შესახებ ამ რომანში ბევრ უცნობ

ლიოსას მიძღვნის სირთულეს შინაარსობრივი ბუნდოვანების გარდა, სტილური სირთულეც ახლდა. ცხადია, მიძღვნის თარგმნა, შინაარსის გადმოცემის გარდა, სხვა კომპონენტებისაც მოიცავს — ტექსტი სხარტი და მოქნილი უნდა იყოს. საგანგებოდ გადავამოწმეთ ინგლისური და რუსული თარგმანები. ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ გამოცემაში მიძღვნა თარგმნილი არ იყო. ინგლისურენოვან მთარგმნელს მხოლოდ იმ ორი ადამიანის სახელი მივითვინებთ, ვისაც წიგნი ეძღვნება. რუს მთარგმნელს არც ეს მიუჩნევია საჭიროდ. განვიხილეთ სხვადასხვა ვერსია, მათ შორის ესპანურენოვანი ტექსტის დატოვება და სქოლიოში მცირე განმარტება. ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე, თავად მწერლისთვის მიმენერა, მაგრამ დრო არ ითმენდა...

„ლუის ლოაისას, ბორხესიანელ პეტიტ ტუარელსა და აბელარდო ოკენდოს, დელფინს, პატარა, მამაცი სარტრიანელისგან, გულითადი სიყვარულით — თქვენი ძმა მაშინ და ამჟამად.“

ვის მიუძღვნა მარო ვარგას ლიოსამ „საუბარი კათედრალში“? ვინ არიან ლუის ლოაისა და აბელარდო ოკენდო?

ლუის ლოაისა პერუელი მწერალი, კრიტიკოსი და მთარგმნელი გახლდათ, რომელიც აბელარდო ოკენდოსა (ლიტერატურის კრიტიკოსი, გამომცემელი, პროფესორი) და ვარგას ლიოსასთან ერთად იმ ვიწრო ლიტერატურულ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც პერუში გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. ამ დროიდან დაიწყო მათი დიდი მეგობრობა, სიცოცხლის ბოლომდე რომ გაგრძელდა. ამ ღრმა და საინტერესო ურთიერთობას ადასტურებს ლიოსას მოგონებები და პრესაში გამოქვეყნებული მიმოხერა. სამეცნიერო და პუბლიცისტურ ნყაროებში მათ 50-იანელების სახელით მოიხსენიებენ. ამ სამ ადამიანს უკავშირდება ჟურნალი „ლიტერატურა“, რომლის სამი ნომერიც 50-იან წლებში გამოიცა ლიოსაში. თანამოაზრეობისა და თანამზრახველობის დასტურია ის ფაქტიც, რომ ლოაისა და მარო ვარგას ლიოსა, ამ უკანასკნელის ინიციატივით, ერთდროულად გაემგზავრნენ ევროპაში, სადაც ლოაისამ ცხოვრების ბოლო 30 წელი გაატარა. ლუის ლოაისას არ დაუტოვებია დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა (მას ეკუთვნის რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, თარგმანები და ესეები), თუმცა მისი ღრმა ერუდიციითა და მაღალი ლიტერატურული გემოვნებით დაწერილი ტექსტები დღემდე პერუელი ლიტერატურის საგანძურად მიიჩნევა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი წერილები ბორხესზე და ესეი ჯოისის შესახებ, რომელსაც ლიტერატურისმცოდნეები ერთ-ერთ საუკეთესო ტექსტად მოიხსენიებენ იმათ შორის, რაც კი ოდესმე ჯოისზე დაწერილა. „ლოაისას პოეზია ყველაზე დახვეწილია ისეთ ბრწყინვალე თაობაშიც კი, როგორც 50-იანელების თაობა იყო... მის მოთხრობებს, განსაკუთრებით კი ესეებს, უნიკალური სტილი აქვს, პერუულსა და უნივერსალურს შორის, რის გამოც, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხმაა ლათინოამერიკულ სამყაროში“

წერს მარო ვარგას ლიოსა. ლოაისას ხშირად იდუმალ, მისტერიულ მწერლად მოიხსენიებენ. ცნობილია, რომ ის გარიდებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას, არ უყვარდა საჯაროობა, არ ჩნდებოდა ლონისძიებებზე, არ მონაწილეობდა ლიტერატურულ დისკუსიებში. ამ თვისებებმა ლუის ლოაისას სახელი ერთგვარი მისტიური საბურველით შემოსა. ის იყო ადამიანი, რომელზეც 50-იან წლების პერუში ლეგენდების სერია შეიქმნა. ამბობდნენ, რომ მას „ყველა წიგნი ჰქონდა ნაკითხული, რაც კი დაწერილა“. ხალხური მითოსის ნაწილი იყო პერუელ ახალგაზრდებში მთარული ლეგენდაც, რომ ლოაისა სულაც არ არსებობდა და ერთ-ერთი ბორხესიანული თამაში იყო, სადაც რეალობა და ფიქცია ერთმანეთშია არეული. „არ იძლეოდა ინტერვიუებს, არ აღეშინებდა ლიტერატურული სამყარო. მხოლოდ აინტერესებდა კარგი წიგნები, რომელთაც ხარბად კითხულობდა და დროდადრო თარგმნიდა. იმ ეპოქაში ბევრი ახალგაზრდა ფიქრობდა, რომ ის მარო ვარგას ლიოსასა და აბელარდო ოკენდოს შემთხვეული მოჩვენება იყო და არა რეალური ადამიანი“ — იხ-



სენებს პერუელი მწერალი ფერნანდო ამპუერო. ცნობილია, რომ ლოაისას ერთ-ერთი დიდი გატაცება ჭადრაკი იყო. ალბათ ამან დაუდო საფუძველი ლეგენდას, რომ მან ერთხელ ბობი ფიშერს სძლია ჭადრაკში. აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი სულაც არ ყოფილა ლეგენდა და 1965 წელს ლოაისას მართლაც მოუგია მსოფლიო ჩემპიონისთვის, რომელიც ნიუ-იორკში საჯარო ტურნირის მართავდა და ოცდახუთი დაფიდან მხოლოდ ერთი ნააგო — ლუის ლოაისასთან.

„საუბარი კათედრალის“ მიძღვნაში ვარგას ლიოსა ლუის ლოაისას ბორხესიანელს უწოდებს, რაც სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველად სწორედ ლოაისამ წააკითხა მას ბორხესის მოთხრობები; ლოაისას ესეებმა გაუკვლია გზა ბორხესის ინტელექტუალურ ლაბირინთებში; ლოაისა ბორხესის საუკეთესო მცოდნე იყო, ზეპირად იცოდა მისი ტექსტები და მეგობრების წრეში, ძალიან ხშირად, ხმადაღლია ციტირებდა. 1963 წელს პარიზში მყოფმა ვარგას ლიოსამ ინტერვიუ ჩაწერა ბორხესთან, რომელიც პარიზში შექსპირის საიუბილეო კონფერენციაზე იყო მიწვეული. ახალგაზრდა მარო ვარგას ლიოსა პარიზის რადიოში ჟურნალისტად მუშაობდა. ამ ინტერვიუს შესახებ ნიუ-იორკში გაიო ლოაისამ, რომელიც იმხანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თარჯიმნად მუშაობდა და ლიოსას საყვედურნარევი წერილი მისწერა: „აბელარდომ ახლახან გამოიგზავნა გენი ინტერვიუ ბორხესთან და ისევე მანც გადამეუფლა, თითქოს მიღალატეს. როგორ შეიძლებაოდა, ვრცლად და დაწვრილებით არ მოგენერა ამ შეხვედრის შესახებ? ვინ იფიქრებდა, ბორხესს შეხვედბოდი და მე არ გაგახსენ-



დებოდი? ნუთუ ადამიანს აღარაფრის უნდა სწამდეს?“

„საუბარი კათედრალის“ მიძღვნაში ლიოსა ლუის ლოაისას პეტიტ ტუართან ერთად მოიხსენიებს. ვინ იყო პეტიტ ტუარი და რა კავშირშია ლოაისასთან? ეს სახელი წყნარი ოკეანის მეორე ომთან, ეგრეთ წოდებულ გვარჯილის ომთან არის დაკავშირებული, რომელიც ჩილემ გვარჯილის საბადოების გამო წამოიწყო პერუსა და ბოლივიის წინააღმდეგ (1879-1883). დიდი ბრიტანეთის დახმარებით 1881 წელს ჩილელები ლიმაში შევიდნენ და პერუს ტერიტორიების დათმობა აიძულეს. ამ ომს პერუელების მხრიდან ჰყავდა მათი გმირი, ფრანგი ადმირალი პეტიტ (პეტი) ტუარი, რომელიც კალიაოში იყო დაბანაკებული ევროპის სხვა ნეიტრალურ სამხედრო ძალებთან ერთად. მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე არსებული საფრთხით შემფოთებულმა ევროპელმა სამხედრო მეთაურებმა, ადმირალ პეტიტ ტუარის დიდი მეცადინეობითა და ძალისხმევით, მირაფლორესში უცხოელი დიპლომატებისა და სამხედროების შეხვედრა გამართეს. ამ შეხვედრაზე მოეწერა ხელი მემორანდუმს მშვიდობიანი მოსახლეობის ხელშეუხებლობის შესახებ. ამ შეთანხმების წყალობით, ჩილეს ჯარის შესვლას ლიმაში მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია. ცნობილია, რომ ადმირალმა პეტიტ ტუარმა ჩილელი სამხედრო მეთაურები გააფრთხილა, თუ კალიაოს პორტს შეუტევთ, გაერთიანებული ძალები ჩილეს დაბომბავენო. ვავა დრო და ისტორიკოსები არაერთგვაროვნად შეფასებენ ფრანგი ადმირალის როლს ამ სამშვიდობო მოლაპარაკებაში, თუმცა, ლიმელებისათვის ის ბოლომდე დარჩება თავისუფლების სიმბოლოდ. ფრანგი ადმირალის ღვაწლის აღსანიშნავად ლიმაში დღემდე არ ვიცი, ოკენდოს დელფინს რატომ ეძახდნენო. მეორე მხრივ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ლიოსას მიერ საკუთარი თავის სარტრიანელად მოხსენიება. მკითხველს კარგად მოეხსენება ფრანგი ეგზისტენციალისტით მწერლის გატაცების შესახებ. ახალგაზრდა ლიოსა სრულად იზიარებდა სარტრის მოსაზრებას მწერლის მოვალეობისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. სარტრი ჩემი ახალგაზრდობის განუყოფელი ნაწილიაო, წერს. ადრეული წლების ლიოსას „სარტრიანიზმი“ მჭიდროდა დაკავშირებული მის მემარტვნი იდეოლოგიასთან. პირველი მემარტვნი ამ მსოფლმხედველობრივ სისტემას 60-იანი წლების ბოლოს გაუჩნდა, რაც კუბის კომუნისტური რეჟიმის, კერძოდ, ფიდელ კასტროს მიერ კუბელი პოეტის, პადილიას, დაპატიმრებას მოჰყვა. აქედან იწყება კომუნისტი იმედგაცრუებული ვარგას ლიოსას თანმიმდევრული და მეთოდური სვლა ლიბერალიზმისკენ.

ვად ლიმაში დღემდე არსებობს მისი სახელობის გამზირი და მემორიალი. ლოაისას მოხსენიება პეტიტ ტუარის კონტექსტში მკითხველმა შესაძლოა, მეტაფორულად გაიაზროს, რაც სულაც არ არის გასაკვირი. ერთი შეხედვით, მართლაც რთულია პირდაპირი კავშირის პოვნა ფრანგ ადმირალსა და მიძღვნაში მოხსენიებულ მწერალს შორის. სიმართლე გითხრათ, ეს ჩვენთვისაც დიდი თავსატეხი აღმოჩნდა. ამ მისტერიის გასაღებს სრულიად შემთხვევით, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მივაგენი, როდესაც 50-იანი წლების ლათინური ამერიკის ლიტერატურაზე გამოქვეყნებულ სტატიებს ვათვალიერებდ და ჩემი ყურადღება ცნობილი პერუელი მწერლისა და კრიტიკოსის, მიგელ ოვიედოს წერილმა მიიპყრო. მიგელ ოვიედო ინტელექტუალების იმ ვიწრო წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ლოაისამ, ვარგას ლიოსამ, აბელარდო ოკენდომ და იმ ეპოქის რამდენიმე გამორჩეულმა ადამიანმა შექმნა 50-იან წლებში. ოვიედოს ნოსტალგიურ მოგონებებში, სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, ჩემთვის ერთი ფრაზა აღმოჩნდა საგულისხმო: „ლუის ლოაისა პეტიტ ტუარის ქუჩაზე ცხოვრობდა“. სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობდა „კათედრალის“ ავტორი (შესაბამისად, მიძღვნაში პეტიტ ტუარელი უნდა ეწეროს).

მიძღვნაში აბელარდო ოკენდოს ლიოსა მეტსახელით — დელფინი — მოიხსენიებს. როგორც ჩანს, აბელარდოს განსაკუთრებული თავაზიანობისა და ნატოვი ქცევების გამო შეარქვეს ეს მეტსახელი. თუმცა, მიგელ ოვიედო თავის მოგონებებ-



ში აღნიშნავს, დღემდე არ ვიცი, ოკენდოს დელფინს რატომ ეძახდნენო. მეორე მხრივ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ლიოსას მიერ საკუთარი თავის სარტრიანელად მოხსენიება. მკითხველს კარგად მოეხსენება ფრანგი ეგზისტენციალისტით მწერლის გატაცების შესახებ. ახალგაზრდა ლიოსა სრულად იზიარებდა სარტრის მოსაზრებას მწერლის მოვალეობისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. სარტრი ჩემი ახალგაზრდობის განუყოფელი ნაწილიაო, წერს. ადრეული წლების ლიოსას „სარტრიანიზმი“ მჭიდროდა დაკავშირებული მის მემარტვნი იდეოლოგიასთან. პირველი მემარტვნი ამ მსოფლმხედველობრივ სისტემას 60-იანი წლების ბოლოს გაუჩნდა, რაც კუბის კომუნისტური რეჟიმის, კერძოდ, ფიდელ კასტროს მიერ კუბელი პოეტის, პადილიას, დაპატიმრებას მოჰყვა. აქედან იწყება კომუნისტი იმედგაცრუებული ვარგას ლიოსას თანმიმდევრული და მეთოდური სვლა ლიბერალიზმისკენ.

ლოაისას და აბელარდოს სახელებს უკავშირდება ლიოსას პირველი რომანის („ქალაქი და ძაღლები“) ამბავიც. გამოცემამდე ცოტა ხნით ადრე მარო ვარგას ლიოსამ წიგნის ხელნაწერი ლოაისას და ოკენდოს გაუგზავნა და მოუთმენლობითა და მღელვარებით აღსავსე წერილი მისწერა. ის სთხოვდა, თამამად გაასწორეთ და შენიშვნები გამომიგზავნეთო. თუმცა, ეს ამბავი ალბათ სხვა წერილის თემაა და ოდესმე დავუბრუნებო...



ვახტანგ ჯავახიძე

თუმცა თვალმა ცა იგი ვერ მოიასპარეზა,
ვერ გათვალა ტალღების აჩქარების პიკი და
ფანჯარასთან რიონზე მეზობელმა კარისა
შუშაბანდის ტიხარი უკვე გადმოიკიდა.

მაპატიე, მკითხველო, ჩემზე უფრო ჭკვიანო,
შაბაშ! აღარასოდეს წავირეპტიტორებ,
სალამი და ანდერძი ერთად დაგიგვიანე,
გამითავდა ხიდი და ველარაფერს გიტოვებ.

კმარა, ბევრი გავცვითე წულა-მესტი მენაღის,
ბევრი მახსოვს ნაძვის ხე, კვლავ სურნელი მეცა ხის,
ბევრი ახი მესმის და შევავებე მეც ახი,
გამითავდა ხიდი და მეძახიან, მე-და-ხი...

ელაზიური

იყვნენ და აღარ არიან სახელოვანი ვიკები:
დედაქალაქის ქუჩებში გაზრდილი ბირჟავიკები,
თავისუფლების დროშებით მებრძოლი ბოვიკები,
კანონიერი ქურდივით დასჯილი ცეხავიკები,
ბევრი ნიკა და ნიკები, ბევრი ვიკა და ვიკები
და კიდევ მილიონობით ყოფილი ვიციე-ვიკები...
ერთხელ მეც დამირეკავენ და სახლში აღარ ვიქნები.

საელაზიო

დაობლებულან შენი ხატები,
შენი კერპები, შენი ღმერთები,
ისე ძალიან მოგისაკლისეს,
მე სტუმარივით ვეზედმეტები.
და გელოდება თავსასთუმალთან
ხელუხლებელი შენი სერვისი,
რომელსაც ახლა — ჩიტის რძესავით —
რიტმა აკლია შესაფერისი.

— ქება ცოლისა აუგიაო! —
მესმის მურმანის ავე არია
და ამ სალონის დემონები და
ანგელოზები აქვე არიან.
— ქება ცოლისა აუგიაო! —
მაგრამ შენ შენი აბესალომი
არ გაგანბილებს კაფე-სალონის
ახირებულთა აბეზარობით
და უსათუოდ მოიგერიებს
აუგიაანს და აუგიაანებს,
თუ რამდენიმე ნათესავი და
ნაცნობი სალამს დაუგვიანებს.
მე კი კუნძული აღმოვჩინე
და ჩემთან ერთად ცხოვრობს მეზობლად —
დაქვრივებული მამაკაცების
უმცირესობის უმრავლესობა.
მეპატიჟება, მაგრამ ვერა და
ვერ შევესრულე თხოვნა ქალიშვილს,
რადგან წიგნებმა არ გამიშვეს და,
რაც მთავარია, შენ არ გამიშვი.
დამესიზმრე და მალე გათენდა,
რაკი გათენდა, უკვე აქ აღარ
დაგედგომება, თუმცა როდესაც
სახლში არა ხარ, მაინც აქა ხარ.
და ვინაიდან ამოიწურა
მინიმალური ჩვენი შანსები,
ორკარიან და ორთახიან
დამალობანას მეთამაშები.

ივლისმა უკვე მოაღიავა
ჩვენი ფანჯრები ფარჩიანები,
მაგრამ ვინ უნდა შემოიხედოს
ჩვენთან ირაკლი ფარჯიანივით?
მოდ, ერთხელაც მიპასუხე და
ჩამონათვალი გამინახევრე:
სად მოვუპოვო ჩემი ნამუსის
ულვაშს ახალი პარიკმახერი?
ისიც მასწავლე, უკანასკნელი
განკითხვისათვის როცა წავდგები,
რით გავამართლო ჩემი უშენოდ
გატარებული წელიწადები?

მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლეუ!

შენ — ჭეშმარიტმა რაინდმა და ჭეშმარიტმა ჩაუქმა —
ლოთი მეზობლის ლამაზ ცოლს
თვალი არ უნდა ჩაუკრა,
თუ ცეცხლი სიჭაბუკისა არ გაგიქრა და ჩაგიქრა
და თუ მეზობლის ლამაზმა თვალი თვითონ არ ჩაგიკრა.

მაჯამა — მარაო

მსურს მკათათვის მარაო
მოვიწარამარაო,
მნიფობისთვის ნიავი
ვიდრე მეტყვის: კმარაო!

ხანგრძლივი ხიდი

გამითავდა ხიდები,
ისევე აგიხიროდები:
გალმა როგორ გავიდე? —
არ გავალ და გამოლმა დამადგება შავი დღე.

მახსოვს ბევრი ლაფსუსი,
მახსოვს ბევრი აფსუსი,
ბევრი ნაოცნებარი აღარ მეაფსუსება:
თეთრი ლაშქრები და გასახსნელი ხიდები
შემაძულეს რუსებმა.

აქეთ ვარ და ვჩალიჩობ, კარგი გავაფრიალო,
დათმეს ჩემი გადაღმა სხვათა ეპატაჟებმა,
რას მიქვია რიალტო? —
მშობლიური ენგურიც აღარ მეპატიჟება.

ჩაქრა ყველა იმედი,
თავს ვერ დავიიმედებ ახლა რომელიმეთი,
მტკვარიც მეუარება: უკვე ამოგწურაო ლიმიტი.

შევშინდი და შიშები ვერ გავაუწყინარე,
უშაირო დღეები ცვლიან შაირიანებს,
ჭყვიშის და ქუთაისის საზიარო მდინარე
ჩემს ფანჯრებთან ველარ ჩაიროინებს.

ამოვებქდე კადრები ძველი ნეგატივიდან:
ძველი შედარებანი, ძველი მეტაფორანი:
აფსუს ძველი სანავე, აფსუს ძველი ტივი და
აფსუს ძველი ბორანი!

და უეცრად: მიღიმი ფშავის მთების ტიხართან,
ვაჟა მეკაფიება: იქნებ იეშმაკოსო,
მე კვლავ გამოლმითა ვარ, შენ კვლავ გალმითა ხარ და
როგორ უნდა გაკოცო და მაკოცო?

გაითიშა ხიდების მიეთი და მოეთი,
სხედან მოაჯირებზე ფასკუნჯი და გავაზი,
ყველა — დანარჩენებიც — უნდა იყოს პოეტის —
არა მარტო ტატოსი და გალასი.

ნეტავ, ვიდრე შემედლო, ერთი ჩემი ამეგო,
ერთად ავშენდებოდით მე და ჩემი საბაჟო,
მესმის ვენეციიდან სანუგეშო „ამიგო“,
მინდა გონდოლიერთან ერთად წავიშაბაშო.

თუმცა ბევრჯერ შევაქე მეხიდეთა ელიტა
ძველთა მენავეთა და მოგზაურთა მოტივით,
ხელს ვერ გამომიწოდებს ჩემი ეიფელი და
თვალს ვერავინ ჩამიკრავს ანტონიო კონტივით.

მე არ ვეძებ ნატურის თვალს და ბრილიანტის მუხუდოს,
ვეძებ: ხიდის მეცენატი ვინმე შემომეხიდოს
ანუ მინიატურული საცალფეხო მიყიდოს,
ღამით სავსე მთვარესავით ამავსოს,
დილით არე-მარე გამილამაზოს...
მე ალაზანს ვედავები და არ ვერჩი ამაზონს.

გამახსენდა რატომღაც მტრედი ნეო-ნოესი,
შევადარე ერთმანეთს ის წლები და ეს წლები,
ერთიც დააპროექტეს მტკვარზე ნეო-ნიუსი,
მაგრამ ველარ მომისწრებს ანუ ვერ მოვესწრები.

ჩემი ნამდინარევი ამოშრა და ამოხმა
და ვიჯერებ სათავისო მაქსიმას:
ინურება ჩემი გალმა-გამოლმა
და მგონია — გალმა მეტი შანსი მაქვს.

ნეტავ, ნეტავ, ნეტავში ბევრი ნეტავებია,
მესმის: თამაშ-გარეშეა თავიო
და, როდესაც ეჭვები ეჭვებს ედავებიან,
გულის გული მაქეზებს: გალმა შეედავეო.

გალმა დამრჩა ქებული და კრებული,
იისფერი იები და თეთრი კამელიები
და რიონის ტალღით გოფირებული
თეთრი ქვების თეთრი ბარელიეფი.

მე ამ თეთრებს ველარავინ ველარ გადამაყვარებს,
ვერ შევისმენ ხანგრძლივი წლების დამუნათებას,
ამ ლოდებზე ისე, როგორც დინოზავრის ნაკვალევს,
დავეძებდი იაზონის ნატერფალს.

ეს თეთრები ირეკლავენ ვარსკვლავების პა-დე-დეს,
ამ თეთრებმა, როდესაც შევადარე ციტადელს,
ამიყვანეს ხიდზე და იქვე დამაპატენტეს
ანუ დამაციტატეს.

ეს თეთრები გახლავან ვარსკვლავების ხნისანი,
მესმის ქვათა ლალადი, მესმის სხვათა ქვათა ხმა,
ამეკიდა კითხვის ერთი ნიშანი:
რომელია მაინც შენი გადაღმა?

სახლი ჩემი რიონთან იყო ჩემი ციხე და
ახლა მამუნათებენ გაყიდული კედლები,
მამასავით ფანჯრიდან ხიდმა შემოიხედა,
მაგრამ შვილი უძლები ველარ შევეგებები.

წარსულსა და სინანულს ველარ გამოვისყიდი
გამოლმიდან, რაკილა მწერალადა ვარ ბიზნესთან,
უკვე ჩატეხილია ეს ხიდი და ის ხიდი,
აი ჩემი მიზეზი და მიზეზი მიზეზთა.

დრო ვერ დავაბალანსე წლების აკრედიტივით
და ასაკი არასდროს მომიმიზეზებია,
ლექსი გამოჭიანურდა სან-ფრანცისკოს ხიდივით
და სტრიქონი თითქოს მისისიპია,
და სიბერის სატანამ მწარედ ჩაიხიხიხითა
და რეპლიკა მაფრთხილებს აგერ ამასწინდელი:
აფსუს თეთრი ხიდი და
აფსუს ჯაჭვის ხიდი და
აფსუს ხიდი წითელი!

გამიღიმე მეორედ: თითქოს გამომაღვიძე,
სატილო მდინარე: მეც უნავო, შენაცა,
გალმა ხარ და შუა ხიდი არ გვიძე,
ვერ გადმოვედ, მონამეა ზენა ცა.



გიორგი ლობჯანიძე

თაზვი

თუ ქალს მართლა ყურებით უყვარდება,
იმდენ საალერსო სიტყვას დავახვავებ,
რომ ამ ხუხულადან
სიყვარული
თავივით გამოძვრეს
და ფეხებში გაგებლანდოს...
შენ შეჰკვივლებ,
მაგიდაზე ან დივანზე
ახტები
და
ესეც ისევე ტრაგიკულად დამთავრდება,
როგორც ყველა გამხელილი,
ნამდვილი
სიყვარული...

სადღაც, ჩორჩანაში...

თუ გაგიბრის შენი შვილი
და შენი ძალი,
ეს იმას როდი ნიშნავს,
რომ მყრალი მოხუცი ხარ,
შეიძლება, თვითონვე არიან
დედამოტყუნულები...

ეს ცხოვრება
მცოცავი ოკუპაციაა,
მოვა და საზღვრებს უბოდიშოდ გადმოგინებს
ოცნების ნალკოტებში...

მამაჩემის ნაგები ღობე დალპა...
შემოვარდევ
და ახლის გაკეთებას შევუდექი...

საქმე წინ არ მიდის...

ღობემორღვეულში დავმჯდარვარ და ეზოს
ვყარაულობ,
მოვალეობაზე ძალღივით გამოვები,
ეზოდან გარეთ ნაბიჯს ველარ ვადგამ
და ვხვდები:
რას ნიშნავს და რა ძნელი ყოფილა
იყო უსაზღვროების პატიმარი...

ვიდრე მე ეზოს ვყარაულობ,
რომ ხელმრუდმა მეზობლებმა
რამე არ ამნაპნონ,
ტელევიზორში აცხადებენ,
რომ ოკუპანტებმა 300 ჰექტარი მიწა
კიდევ მიიტაცეს ხაშურის რაიონში...

ენერვიულობ, მაგრამ აღარ ვშფოთავ...
რადგან დიდი ხანია, ვისწავლე,
აღარ მივიკარო ის, რაც ხდება
სამი სოფლის იქით...

მოდის კატია —
ჩვენს სოფელში 48 წლის წინათ
ყაზახეთიდან გამოთხოვილი
რუსი მეზობელი,
რომელიც ძალიან მიყვარს და ვაფასებ
მთელ ჩემს მეზობლებში.
— გამარჯობა, ოკუპანტო! —
ლიმილით ვესალმები.
— გაგიმარჯოს! —
ლიმილითვე ამბობს
და:
— ბოდიში,
წელს გვალვამ ყველაფერი კვირტშივე გამოგვინვა.

მოსაკითხად მოსატანი
ალარაფერი მქონდა
ამ ყურძნის მეტი! —
ზუსტად ასეთი თავანკარა ქართულით მეუბნება
და პარკში ჩამოკრეფილ ყურძნის მტევნებს მიწვდის...
ნაღდი მცოცავი ოკუპაციაა, მა რა არი?

პენცენტრიდან მირეკავენ:
ამერიკის საელჩოს ორგანიზებულ კონფერენციაზე
მთხოვენ,
სიტყვით გამოვიდე:
„როგორ ვებრძოლოთ რუსულ პროპაგანდას?“
მე კი
ღობემორღვეულში ვზივარ
და ალარარსებული ღობის იქიდან მიღობის
კატია-ოკუპანტი...

ტანკები ჯერ შორს არიან,
ჩემი სოფლიდან
სამი სოფლის იქით,
სადღაც, ჩორჩანაში...
სადაც ჩემს ბავშვობაში
სოკოს საგროველად,
ტყე-ტყე,
მინდორ-მინდორ
ფეხით
ავდიოდით...
და რა ტანკი დაიჭერს ამ მოგონებას,
რომელი მავთულხლართი...

პარღნა

ჩემო ჰიპერბოლებით ნაშენებო,
მეტაფორებით ნაჩუქურთმებო...

ისე ბრჭყვიალებ,
რომ ავ თვალს არ დაენახებო...

ასეთ მოკაზმულს
შეუძლია, ასჯერ მიქაროს...
მინც ყველაფერს გააპატიებ,
ეგ ცვილის ფრთებიც
ხომ მე შეგასხი
ჩემს მზისაკენ აჭრილ იკაროსს...

ერთი საგანი არასოდეს მეორეს არ ჰგავს,
მამ, რა ფასი აქვს მთელ ამ მხატვრულ ზიზილ-პიპილოს,
რომელიც მუდამ მზად არის, რომ მუხანათურად
შედარებათა ხავერდები გადაგიფინოს...
სულ მსგავსებებში განანაოს
და დაგძახოდეს, თითქოს, რაიმეს ჰგავხარ
ანდა რაიმეს ჰგავდი,
მსგავსით შეცვალოს ყველაფერი
და ცხოვრებაში
ერთხელაც კი არ შეგახვედროს
ნაღდსა და ნამდვილს...

განსაკუთრებით საშიშია ჰიპერბოლები,
რადგანაც მათში თავს თვით ღმერთი აფარებს მარად,
მაგრამ მე მიწადა, რომ ის ერთხელ შემხვდეს პირისპირ,
რომ მისი „დაიხ!“ „ღიახ“ იყოს,
„არა“ კი — „არა!“

შედარებათა უღრანები შემზარავია,
ვერასოდეს რომ ვერ ჩასწვდები მათ მრუმე წიაღს,
შენ დგახარ, „არას“ გაიძახი ხმაჩახლეჩილი,
ის კი შენი ხმის ექოსავით გიბრუნებს: „ღიახ!“

ამიტომ გიჯობს, საიდუმლომ არ გასცეს თავი
და იყოს ასე, ნამდვილი და გამოუთქმელი,

ვიდრე ითქვას და მინც დარჩეს გაუგებარი,
ჰიპერბოლათა ზიზილებით ნაჩუქურთმევი.

და ჩუქურთმებმა აისხლიტოს ნაღდი სხივები
და სინამდვილე ახლოსაც კი არ მიიკაროს...

ეს ცხელი წვიმა სინანულის ცრემლი როდია,
მზისკენ ავარდნის
ცვილის ფრთები ეწვის იკაროსს...

ნუგავი ხას შამოდგომაზე

კი არ გტოვებენ...
როგორც კი გწყდება,
მაშინვე კვდება
ყველა ფოთოლი...

ნახევრად ხუმრობით

ნანას მაზლი,
ზაზას ფაზლი,
გელას აზრი,
მამის ასლი
დოიგენეს რა?
და კასრი...
ჩოხას რა? და
ათი მასრა...
მაზლი მაზლად,
ფაზლი ფაზლად,
აზრი აზრად,
კასრი კასრად,
რა აზრი აქვს
აზრის ქონას,
თუ სხვას ფიქრობს
მთელი მაზრა...

ხანდახან ასეც ხდება:
ზონდით გადაგაყლაპებენ თანაგრძნობას
და შიგნით ფარულ
წყლულებსა და სისხლდენას გიძებნიან...

ეს ზონდი დღემდე ისე ვერ გადავყლაპე,
გული არ ამრეოდა...

ხომ არსებობს უკვე უფრო დახვეწილი მეთოდებიც,
როცა გარედან შემოგხედავენ
და ამით უმალ ხვდებიან,
შიგნით სად რა გტკივა...

ნუ ლელავ, მეგობარო,
ბედნიერების ჰორმონს
ტანჯვით,
მაგრამ მინც გამოვიმუშავებ...

ავგისტოს ბოლოს
ნალვლიანი ამბავი არის,
უკვდავა რომ
ოქროცოცხად იქცევა ხოლმე...

სხვის ამბავში

სხვის ამბავში
მოვხვდი,
როგორც უსიერ ტყეში
და იქიდან
გულის ხეთქვით გამოვიქეცი...

სიზმარში თუ გირბენიათ
შეშინებულებს,
როცა სიზმარში იცოდით,
რომ სიზმარი იყო,
გალვიძება გასურდათ,
მაგრამ ვერ იღვიძებდით...
გამორბოდი
და
სიფხიზლეს ვერ ენეოდით...

შრილებდა
ტყე,
ვით სხვისი,
უცხო ამბავი, —
უამრავი საზარელი
ხმით
და გუგუნით...

ღიახ, ესანი...

ამათ ისე კარგად იციან ხელის დაბანა,
რომ არასოდეს შეეყრებათ
არც მეგობრობის სახადი
და არც ტრფობის წირი...



მიხო მოსულიშვილი

ერთი, ორ, სამ, ოთხ...

გზისა და მოგზაურისა



საფარის მონასტრის მაღლი

„სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკველითვე ყოვლითა ფერითა ხელითა ფარეზასისათა, შეუნდვენ ღმერთმან“.

წმინდა საბას ეკლესიის კარიბჭეს სარკმლის წარწერა საფარის მონასტერში, შესრულებული XIII საუკუნის დასასრულისა და XIV საუკუნის დასაწყისში, როცა სამცხეზე ბექა მანდატურთუხუცესი, სარგისის ძე განაგებდა (სარგისი, ბექა და მისი ვაჟები — სარგის II და ყვარყვარე დახატულნი არიან ამავე ეკლესიის კედელზე).

დიდი მაღლი ტრიალებს ამ არე-მარეზე — აქ გადაღებულ ფოტოებში ჩანს პირდაპირ, ბერების გამოხედვაში, ფუტკრის სკეპში, წმინდა საბას, იგივე სარგის ჯაველის ფრესკაში და მთელ ტაძარში, წყაროს კამკამა წყალში თუ ქვემოთ, ტყეში... შემოსასვლელში ამოსულ გვირილაში, პატარა ყვავილები რომ აქვს, რადგან მაღალზე ამოსული...

ყველგან... ისეთი მაღლი, მატლად რომ არ გადაიქცევა და მზად ხარ, პატიება და შენდობა სთხოვო ყველას — მახლობლებს, შორი-ახლობლებსა თუ სულაც შორებლებს...

ტაძარში ბერისგან მოყიდულ სანთელს თავლის სურნელი უდის...

მზით განათებულ თავლის სკეპს, ტაძრის უკანა ფერდობზე, სითბო და ჩუმი სიხარული დასტრიალებს.

ტაძრის ქვემოთკენ წყაროს, მე რომ სამ პეშვზე მტეი არ მეკუთვნის ხოლმე სხვაგან და აქ კი ორმაგი სამი პეშვი დამჭირდა, საამოდ სევედიანი გემო დაჰკრავს და შენ ვერც კი იგებ, როგორ მოაქვს შენამდე ეს დიდი მაღლი, რომელიც მერე სულ შეგცვლის უკეთესობისკენ.

ხევისკენ ჩუხჩუხით ჩამდინარე ეს წყარო რას აღარ ჰყვება...

ქვემოთ, გვერდებზე, ზემოთ, სულ ტყეა და სულ ზემოთაა მონასტერი — საუკუნეობით ლოცვებით განწმენდილი და მშვიდი, წყნარი და ძლიერი.

და შენ რომ მიდიხარ იქ დანგრეული თუ დაშლილი სულით, ვერც გაიგებ, როგორ გიშველის ეს მაღლი, ძალას მოგცემს, საკუთარი თავის მიყრილ-მოყრილი ნაწილები ისევ მოძებნო, აანყო და გამთლიანდე. ახალციხიდან თხუთმეტი წუთის სავალზეა, სოფელ ღრეღის მახლობლად, ტყიანი მთის წვერზე.

ისე ნამოგყვება და გიმკურნალებს საფარის მონასტრის მაღლი, ვერც კი მიხვდები და რამდენიმე დღის მერე სინანულისას ფიქრობ...

გიგაშა — რომელია ც მარტონხელა დიდი კატა უცაბედი პორტრეტი, როგორც გამოსათხოვარი

ვაჟა გიგაშვილის ამბავი ნახალწლევს გავიგე შემთხვევით — 2017 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილა და 2018 წლის 2 იანვარს დაუკრძალავთ მუხათგვერდის სასაფლაოზე...

რამდენადაც მე მესმოდა, არც ერთ საინფორმაციო საშუალებას ეს ამბავი არ უხსენებია...

ჰოდა, ჩემთვის ვიფიქრე, რომ გიგაშა ხომ თავის ჭკუაზე მცხოვრები რომელიღაც მარტონხელა დიდი კატა იყო, ვეფხვი თუ, სულაც, თოვლის ჯიქი... მაგას თავისი არეალი ჰქონდა თავისუფლებისა და იმ არეალში ვერც ადრინდელი კომუნისტები მოხვედებოდნენ, ვერც ახლანდელი მოკომუნისტო და ყალბ თავისუფლებებზე მოლაპარაკე იდეოლოგები... და გიგაშაზე ლაპარაკი არც ენდომებოდა...

თანაც ეგ ხო არ იყო, არაფრით იყო „ბატონი ვაჟა“...

ჩვენი გიგაშა იყო, ჩვენი ვაჟა გიგაშვილი...

გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი უახლოესი მეგობართაგანი, ერლომ ახვლედიანთან და გურამ გეგეშიძესთან ერთად — იმ მწერლებისა, რომლებმაც გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან, კომუნისტური იდეოლოგიის ზეობისას, თავიანთი თავისუფლების ძებნა დაიწყეს...

პროფესიონალი მონადირე, მთამსვლელი, არქიტექტორი, კინოსცენარისტი და კიდევ, რაც მთავარია, ინტუიტიური და ლამის მოუხელთებელი რამეების კატის მოქნილობით დამჭერი და გამოძახებელი მოთხრობების განუმეორებელი და საუკეთესო მწერალი, რომელიც ჩვენ ყველას, ახალუხლებს, ტოლებივით გველაპარაკებოდა ხოლმე; არადა, მართლა მაგარი ოსტატი იყო — ისეთი ოსტატი, ნებისმიერი ქვეყნის მწერლობას რომ დაამშვენებდა და ბევრად დაფასებულნიც იქნებოდა, ვიდრე ჩვენთან...

კაცი რომ ამქვეყნიდან მიდის, უფრო სრულად ჩანს ხოლმე, რა გაუკეთებია და რა ვერა და — იქნებ ახლა მაინც ნავიკითხოთ გიგაშას ნაწერები...



ერთ რომელიღაც საღამოს, მე რომ ესე ათი-თერთმეტი წლის პატარა ბიჭი ვიქნებოდი და ვითხოვდი, კედლები ეყიდა ჩემთვის ფეხბურთის სათამაშოდ, დედაჩემმა სრულიად გამაოგნებელი და, საბოლოო ჯამში, თაზარდამცემი რამე გამოაცხადა — ძველად, შალიკაშვილები გინდაო, ანდრონიკაშვილები თუ ვაჩნაძეები და კიდევ ვინ აღარ, ესენი ხომ სულ ცეკვავდნენ ხოლმე, შენც უნდა იცოდე და ცეკვაზე უნდა მიხვიდე, დამწყებების ჯგუფში ჩაწერილი ხარ უკვეო.

რას ამბობ, რა ანდრონიკაშვილები და დამწყებების ჯგუფი, ნახევარდაცვას ვთამაშობ და ბიჭები მიცდიან, მოედანზე როდის მივალ და უკვე ისეთი ფინტებიც ვიცი, რომ სულ ფეხებში მირტყამენ და, მართალია, დაღურჯებული დავდივარ, მაგრამ მალე გამივლის და არ მინდა რა ცეკვა, გეხვეწები მეთქი...

მაგრამ ვერ მიშველა ამან, მომერია და მაინც მიმიყვანა დამწყებების ჯგუფში.

დამხვდა იქ სათვალისანი მასწავლებელი ქალბატონი თითო ხელში თითო მეტრი და ოცი თუ ოცდაათსანატიმეტრიანი სახაზავით — ერთი იყო ხის, იმას ერქვა „სახაზავი“ და მეორე რკინის, იმას კიდევ „ლინიკა“ ეწოდებოდა.

ცეკვა „ქართულს“ ვნავლობდით და როგორც კი ფეხს ავურევდი თავიდანვე და დოლოს რიტმზე სათანადოდ ვერ მივყვებოდი ხელბატონი გოგოს, მომხვედებოდა ფეხებში ის სახაზავი.

და თუ შუა ცეკვაში ამოვვარდებოდი რიტმიდან — მაშინ „ლინიკა“, თანაც უფრო მწარედ, — ამდენი გიცეკვია, არ შეგშლია და ახლა რა ჯანდაბა გეტაკაო...

სახაზავების ისეთი მარჯვე ხმარება მერე აღარსად მინახავს, ნებისმიერი წერტილიდან მომწვდებოდა ხოლმე გინდ მარჯვენა და თუნდაც მარცხენა ხელით...

ეჰ, აბა, რაღა ნახევარდაცვა და ფინტები, იმ სახაზავითა და „ლინიკით“ მქონდა დაღურჯებული ფეხები...

იმ მასწავლებლის დათვლაც მახსოვს — „ერთ, ორ, სამ, ოთხ, სახაზავი, წკაპ!“ და თავიდან ნავიდა... ერთ, ორ, სამ, ოთხ, მოვიდა „ლინიკა“... ერთ, ორ, სამ, და ლინიკაც „წკაპ!“... და თავიდან... და ნავიდა, ერთ, ორ...“

და რომელიმე წვიმიან დღეს დიდბორტებიანი პალტოთი, გაშლილი ქოლგით და რალაცნაირი კაკუნა ფეხსაცემლებით რომ მოზაკუნდებოდა მეცადინეობაზე ის ცეკვის მასწავლებელი ქალბატონი და იმ ქოლგას გასაშრობად დადებდა კუთხეში, სულ შიშით ვიყურებოდი იქით — ახლა ეს არ აიღოს იმ სახაზავ-„ლინიკის“ მაგივრად-მეთქი... მაგრამ უკვე კარგად გამოცდილ „ინსტრუმენტებს“ მისწვდებოდა გერევე, კუთხეში რომ ჰქონდა მიყუდებული საპატიოდ, ერთ ხელში ერთს დაიჭერდა, მეორეში — მეორეს და ამგვარად გადავურჩებოდი ხოლმე იმ ქოლგას.

აი, როგორი შავ-ბნელი და სახაზავ-„ლინიკიანი“ დღეები გამომივლია, მაგრამ იმ ქალბატონის გაღიმებული თვალებიც მახსოვს, შედარებით უკეთესად შესრულებული ცეკვის გამო ერთ-ერთ საჩვენებელ საღამოზე...

და ახლა ვინმე რომ მეცეკვება, ზოგჯერ შიშით შევუთვალაიერებ ხოლმე ხელებს, რამე სახაზავისმაგვარი ხომ არ უჭირავს-მეთქი და რა კი არა, მერელა ვუყურებ თვალებში — აბა, ჩემი მკაცრი და სამართლიანი მასწავლებელივით თუ მიღმის...

ჩემს სიზმრებში რომ მთებია

ჩემს სიზმრებში რომ მთებია, კარგად მოვლილი სახლებითა და ლამაზ-ლამაზი ადგილებით — ფუტკრებიანი ალპურ მდელოებით, ჯიხვებიანი კლდინებით, დათვებით სავსე ტყიანი ფერდობებით, საკალმახე ჩანჩქერებით, არწივებით გადმოსახედებით და სულ კოხტად მოპირკეთებული გზებითა თუ საცალფეხო ბილიკებით იქამდე, მთის ლალი და ალალი ხალხი ცხოვრობს ისეთი, რომ ზოგი ძველ ქართულს ლაპარაკობს, ზოგიც — კაი ინგლისურს და სხვები კიდევ; ამათ სიაკვარგეს მე ველარ ვარკვევ, მაგრამ იმას კი ვხვდები, რომ კიდევ რამდენიმე ენაზე

ლაპარაკობენ, როგორც ევროპიდან და აღმოსავლეთ აზიიდან, ასევე სამხრეთ ამერიკიდან და ავსტრალია-ახალი ზელანდიის მიდამოებიდან.

ჩემს სიზმრებში რომ მთებია, იმის ყველაზე მაღალ სოფელში ხშირად ვარ ხოლმე, სწორედ იმ ერთადერთ კოტეჯში, ყველაზე მაღლა და ზემოთ რომ დგას, ერთი ფრიალო კლდის თავზე და იქიდან სულ ცოტაა უნდა ალპურ მდელოებზე ფიქალით აგებულ პატარა, აივანიან სახლამდე და აი, იმ აივანზე დგომა სამყაროს ჭერიდან გადმოხედვა ხოლმე ჩემთვის, რადგანაც მთელი ქვეყანა ჩანს და თანაც, არც მრუდია, არც ცრუ და არც წუთისა და არც წამისა...

იქაური როდოდენდრონის ჩაი, ერთი კოვზი მთის თაფლით, ზედაც კამკამა ჰაერის დაყოლებით და, სულ ეგ არის, მეტი არც არაფერი მინდა, წინდანი მომარაგებული ვისკის ბოთლის, კაი თამბაქოსა და ჩემი ჩიბუხის გარდა. ინტერნეტი სულ არა და ცოტა მერე რომელიმე წიგნის გადაკითხვაც თუ მომიხდება, მშვენიერი და მდიდარი ბიბლიოთეკაა იქ, დიდად ნაკითხი და ლამაზი ბიბლიოთეკარი ქალბატონის გამგებლობით. მაგრამ რად გინდა, ვინ გაცდის იქამდე მისვლას...

ამ ბოლო დროის სიზმრებში რომ ვესტუმრები ხოლმე ჩემს კოტეჯს ზემოსოფელში, იქ ჩემი რეალობიდან ლტოლვილი ერთი ახალი თანამშრომელი ქალი მხვდება, სახელად როზამუნდა — ავხორცი მზერით, წამოხითლებული ლოყებითა და შემპარავი ლაპარაკით, საიდანაც უმალ გაირკვევა ხოლმე, რომ ჩემი ჩათრევა უნდა: ჯერ ვისკის სანრუპად და მერე ლოგინში, ვისკის იმ ბოთლიანად... ანდა — პირიქით...

და მანამდე, როგორც კი ზემოსოფლის გიჟმაჟი ვალსი დასცხოვს, მტაცებს ხელს ეს არალეგალურად ადგილნაცვალნი და საშინელი ქალი, სახელად როზამუნდა, მიმიკრავს ძუძუებზე და ერთ-ორ შემობრუნებას ძლივს ვასწრებთ, რომ მებრდვებდა ხოლმე ტურნებში და რაღა ცეკვა, ლამის სული ამომხადოს. ამაოდ ვიქნე და ვასავსავებ ხელებს, ირგვლივმოფები მხოლოდ კისკისებენ ან ხარხარებენ და ჩემს დახმარებას არავინ ფიქრობს...

და არ მომწონს ასეთი ქალები — არ მაქვს უფლება? რეალობაშიც ძლივს გავექეცი და სიზმარში რაღა ვქნა, რომელ ჩანჩქერს მივცე თავი, აღარ ვიცი. დამალვითაც რომ ვერსად დამალვები, მაინც რომ ყველგან გპოულობს...

მოკლედ, აღარ მინდა დაძინება და ჩემს ზემოსოფელში ასვლა, სანამ სავიზო რეჟიმს ისე არ გაამკაცრებენ იქ, რომ ეგრე, რომელ როზამუნდასაც მოესურვება, იქ ვერ ააღწიოს...

ერთი მთის სოფელი რომ გაბადაია, ისიც დროებით და ისიც სიზმარში და, — ისიც რომ ოკუპირებულია...

მოკლედ, ეს ბეჩავი ჩემი თავი ჩემივე სიზმრების მთებში რეალობიდან უვიზოდ მოსული არალეგალი ქალის, სახელად როზამუნდას საშინელი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიქმნა და...

ჩემს სიზმრებში რომ მთებია, ლამის სულ გამიქნა...

...და ნეტავი, რეალობაში მე მიჭირს რამე ფროიდისტულ-იუნგური განხრით თუ იმას, იმ როზამუნდას?

„რა ჰქნის“ ციხე

როგორია ქართველი მთიელების და კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდებარე მთიანი მხარის ფილოსოფიური არსი?

ყველაზე უკეთ ეს გამოხატულია ადგილობრივ ფოლკლორში.

ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია, რომ იქაურებმა ააგეს „რა ვქნის“ ციხე-კოშკი, რომელსაც „ჯავრი“ შეაბეს კარად. ამ ციხის სანახავად საიქიოდან მოვიდნენ, ბევრი უარეს ირგვლივ, მაგრამ კარი ვერ იპოვეს, მერე კი თქვეს: „დრო მოვა და კარი თავისით გაიღება“.

როგორც მე მგონია, ამ ლექსში არა მხოლოდ ქართველი მთიელები, არამედ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი მიაგავს ამ ციხე-კოშკს — ჩვენ ვართ ეს კოშკები და კარი რომ შეგვეხსნება, მაშინ ნაგვიყვანენ საიქიოდან მოსულები და, სულ ეს არის ცხოვრება...



„მეგაზეთე-ბიჭის კეპი“,
საათლეკაპობა
The Newsboy Cap

„გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში
ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო...“
ტიციან ტაბიძე, ლექსიდან:
„სერგეი ესენინს“, 1926

1
ორმოცდათხუთმეტი წლის რომ გახდები კაცი, მერე ქუდებზე დაიწყებ ფიქრს, ძალიან რომ არ დაგიბეროს. მითუმეტეს მაშინ, თუ უკვე 2017 წლის ათი დეკემბერია, მთებიდან წამოპარულ ზამთარს უკვე ალყაში ვყავართ მოქცეული და ცივი ქარი მეტიმეტად გამჭოლად უბერავს — როგორც გარეთ, ისე სულში...

ამ კეპს დაინახავ და გგონია, რომ ეს როგორ არ იცი, ეს ხომ ეგრეთ წოდებული „ხინკალა“ ქუდია, წინაფრიალი თუ საჩიხიანი, ადრე მამებს და პაპებსაც ეხურათ ხოლმე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო, თორემ იმის წინაც როგორ არა...

მაგრამ კარგად თუ დაუკვირდები, ეს სულ სხვანაირი კეპია და სულაც არაა „ხინკალა“ ქუდი...

2
ეს უცნაური, ბერეტის ფორმის კარტუზიანი კეპი რეჟისორ სტივენ ნაითის მიერ გადაღებული სადებიუტო ფილმიდან „კოლიბრი“ (Hummingbird, 2013) დაგამახსოვრებთ თავს...

ფილმი იწყება ამერიკის ჯარების სამხედრო ოპერაციების კადრებით ავღანეთში. ეს კადრები გადაღებულია უპილოტო საფრენი აპარატებიდან, რომლებსაც ოპერატორები „კოლიბრებს“ ეძახიან.

მოქმედება იწყება თებერვლის ლონდონში, როცა ორი იქაური რეკეტის-კაცი თავს დაესხმება უსახლკართო დასტას, მათ შორის — კარდონის ერთ ყუთში მცხოვრებ იზაბელსა (მსახიობი ვიკტორია ბივიკი) და ფილმის პროტაგონისტს — ჯოუი ჯონსს (ჯეისონ სთიტიჰემი), სამხედრო დეზერტირს, ავღანეთიდან რომ გამოქცეულა ერთი წლის წინ და მძიმე ნუთებში პალუცინაციები რომ შემოუტყვეს ხოლმე სწორედ ზემოთ ნახებულ-ახსნილი „კოლიბრის“ სახით.



იზაბელი გაურბის ბანდიტებს, ჯოუის კი რეკეტორები სცემენ. ერთ-ერთი მათგანისგან თავის დაღწევის მცდელობისას ჯოუი შემთხვევით მოხვდება მდიდრულად მოწყობილ ბინაში და იქვე დაიმალება კიდევ.

მომდევნო დილას ჯოუი გაიგებს, ბინის პატრონი დეიმონი ნიუ-იორკში წასულა პირველ ოქტომბრამდე და რაკი თებერვალია, მთელი ცხრა თვე ეს ბინა თავისუფალია.

ჯოუი გადაწყვეტს, რომ აქ დარჩეს საცხოვრებლად. შეიჭრის გრძელ თმას, იპარსავს და იცვამს ბინის პატრონის ტანსაცმელს...

მწვანე და ფართობორტებიანი პალტოს ჩაცმის შემდეგ დევნილი დეზერტირი სარკეში შეათვალიერებს საკუთარ თავს, მერე ხელს გაიწვინებს, იქვე ჩამოკიდებულ ტვიდის ქსოვილის ქუდს დაიხურავს თავზე და ერთხელ კიდევ გამომცდელად შეათვალიერებს საკუთარ ორეულს — რალაც უცნაური მოყვანილობის კეპი ახურავს, წინ გრძლად გადმოშვებული კარტუზით და სახეზე ნაიარევსაც ლამის მთლად უფარავს.

მერე ამ კეპით დაძრავს ბინის პატრონის კუთვნილ მანქანას, გაანადგებს საკრედიტო ბარათსაც, კარგადაც დათვრება და პოლონელ მოწყალეების დასთან, კრისტინასთან (აგატა ბუზევი) მივა, უსახლკაროებს საჭმელს რომ ურიგებს — ხუთას ფუნტს აჩუქებს და იზაბელის მოძებნასაც სთხოვს... და სულ იმ უცნაური კეპით დადის, მთლად კეპადაც ვერ ჩაითვლება, თან ბერეტაცაა...

თუკი ამ უცნაურმა ბერეტ-კეპმა თქვენი ყურადღებაც მიიქცია და დაგაფიქრათ, რომ რანაირი ქუდია ეს, რაც ჯეისონ სთიტიჰემს ახურავს ამ ფილმში, საიდან და როგორ გაჩნდაო, მაშინ ამ ჩანაწერის კითხვა უნდა განაგრძოთ.

3
„მეგაზეთე-ბიჭის კეპი“, იგივე ოქტაგონური (რვაკუთხა) ბერეტი-კეპი არის „კარტუზების“, ანუ კარტუზიანი ქუდების (რომელთაც საჩიხიანი, ანუ წინაფრიალი ქუდებს ეძახიან და რომელთაც ფრანგები მოიხსენიებენ, როგორც „კასკეტს“ La casquette) ერთ-ერთი სახეობა.

„მეგაზეთე-ბიჭის კეპი“ არის ყოველდღიური ჩაცმულობის ატრიბუტი.

ასევე ჰქვია: „მეპურის ბიჭი“, ბანდიტის კეპი, ვაშლა-კეპი, რვა ნაწილიანი კეპი, რვა პანელი, „კეპი“ (ტაქსისტი), ჯეი გეტსბი (ფილმიდან „დიდი გეტსბი“, ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, რომლის ავტორია ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი), მეთევზის კეპი, „მსახური-ბიჭი“, ვაშლის-არყის ქუდი, „სტეტსონ ლუნდბერგი“, „ჩიზ ქუდი“ და ლარიბი ბიჭის კეპი.

4
„მეგაზეთე-ბიჭის კეპსაც“ კარტუზიანი ქუდის მსგავსი იერი აქვს და წინ საჩიხიც, მაგრამ ამისი ფორმა უფრო სრულია, შეკერილია რვა პანელისგან და ზემოთ ლილაკით, რომელიც უკანა კიდისკენაა გადაწეული. ამიტომ ოქტაგონური (რვაკუთხა) ბერეტი-კეპიც ჰქვია.



5
კეპის ეს სტილი პოპულარული იყო ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში.

როგორც დასახელება მიგვითითებს, ეს ქუდი დაკავშირებული იყო მეგაზეთე ბიჭებთან. ეს კი გაუგებრობასაც იწვევს ხოლმე: მართალია, რომ მრავალი მეგაზეთე და სხვა გამრჯე ჯეელებიც ატარებდნენ ამისთანა ქუდებს, მაგრამ არც სხვანაირებს იწუნებდნენ. და ამ სტილის კეპებს კიდევ სხვებიც იხურავდნენ.

კარტუზიანი ქუდები ძალიან დამახასიათებელი იყო ყველა კლასის ჩრდილო-ამერიკელი და ევროპელი მამაკაცებისათვის, მეოცე საუკუნის დასაწყისში და თითქმის უნივერსალურები 1910-იანი წლებისთვის, განსაკუთრებით მშრომელი, დაბალი ფენებისთვის. ამ პერიოდის მრავალ ფოტოზე ჩანს ეს ქუდები, რომელსაც ატარებდნენ არა მხოლოდ მეგაზეთეები, არამედ დოკერებიც, მეფოლადეებიც, გემის მემონტაჟეები, ლონდონელი Costermonger-ები (ქურჩის ვაჭრები, ხილბოსტნეულისა და თევზეულის გამყიდველები), ფერმერები; ჩარლზ დიკენსის მთავარი გმირის, ოლივერ ტვისტის მაგვარი მათხოვრები; ბანდიტები, ხელოსნები და ათასნაირი მენვრილმანეები. ამნაირი ქუდები დასტურდება იმდროინდელ რომანებში და ფილმებში.

ამ ქუდს იხურავდნენ მალალ ფენებშიც, უფრო მეტად სამუშაოდან თავისუფალ დროს და ეს სტილი დაუკავშირდა სახელგანთქმულ სპორტსმენებს, მძღოლებსა და მდიდარ გოლფისტებს.

6
„მეგაზეთე-ბიჭის კეპი“ პოპულარული იყო გასული საუკუნის ორმოციანი წლების ამერიკაში წარმოქმნილი ჰიპსტერების სუბკულტურაში.

სიტყვა The hipster მოდის ჟარგონული გამოთქმიდან to be hip, რაც ნიშნავს ისეთ ხალხს, ვინც „აზრზეა“ (ჩვენებური გამოთქმა: „აზრზე მოდი, ხიდზე გადის“ მსგავსად) და ჯაზის იმპროვიზაციული სტილის, „ბიბოპის“ თაყვანისმცემელი, გამგები და მცოდნეა — ესე იგი, ჰიპსტერებს ესმოდათ, თუ როგორ და რას უბერავდნენ ალტ-საქსოფონისტი ჩარლი პარკერი, იგივე „ფრინველი“; მესაყვირე დიზი გილესპი, პიანისტები ჰად პაუელი და თელონიუს მონკი, დრამერი მაქს როუჩი და ამათი მსგავსი სხვა ბოპერები.

ამ ჰიპსტერებში მწერლებიც ერივნენ: ჯონ აბდაიკი გინდა, ტრუმენ კეპოტე, ჯერომ სელინჯერი თუ ალან გინზბერგი...

7
თუმცა „მეგაზეთე-ბიჭის კეპი“ მამაკაცური ქუდია, ოცდამეერთე საუკუნის მოსვლისას კი ხელახლა აღორძინდა, რადგან მისით დაინტერესდა კაცობრიობის უმწვენიერესი ნახევარიც.

ზაფხულში ბევრი გოგონა და ქალი ირჩევს ამ ქუდის რბილ, ბამბის ქსოვილის ვარიანტებს, რაკი ამ კეპის საჩიხი მზისგან იცავს, ზამთრობით კიდევ — უფრო თბილს, თუნდაც ტვიდის ქსოვილებისგან შეკერილებს.

„მეგაზეთე-ბიჭის კეპი“ ახურავს დრიუ ბერიმორის პერსონაჟს, დილან სანდერსს — რეჟისორ მაკჯის ფილმში „ჩარლის ანგელოზები“ (Charlie's Angels, 2000).

8
შემოდგომა-ზამთრის სეზონზე მატყლის ქსოვილის „მეგაზეთე-ბიჭის კეპების“ ფართო არჩევანია ხოლმე.

კანადის ოლიმპიურ ნაკრებს 1998 წლის ნაგანოს (იაპონია) ზამთრის ოლიმპიადებზე ეს კეპები ეხურა...

ცნობილი ფეხბურთელი დევიდ ბეკჰემი ხშირად დაიარება „მეგაზეთე-ბიჭის კეპით“ და ასეც გადაუღებენ ხოლმე ფოტოებს.

„მეგაზეთე-ბიჭის კეპი“ ახურავთ: ლეონარდო დი კაპრიოს პერსონაჟს, ჯეი გეტსბის — ბაზ ლუმანის ფილმში „დიდი გეტსბი“ (The Great Gatsby, 2013).

რობერტ დე ნიროს პერსონაჟს, ვიტო კორლეონეს — ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმში „ნათლიმამა II“ (The Godfather Part II, 1974)

ბრედ პიტის გმირებსაც... მოკლედ, რალა ბევრი გავაგრძელო, — ალბათ, თავდაც იოლად გაიხსენებთ მსახიობებსა და მათ პერსონაჟებს, ქალებსაც და კაცებსაც, „მეგაზეთე-ბიჭის კეპით“ რომ გამოჩნდებიან ხოლმე...

და არა მარტო მათ, პოეტებსაც და პროზაიკოს-დრამატურგებსაც, მხატვრებსა და მუსიკოსებსაც, პოლიტიკოსებსაც და განგსტერებსაც, და ვის ალარ...

იმედია, არც ჩვენი პაოლო იაშვილი დაგავიწყდებათ თავისი არტისტული კეპით, რომელსაც ზოგჯერ, როგორც ტიციან ტაბიძე გვეტყვის თავის 1926 წელს დაწერილ ლექსში „სერგეი ესენინს“, ხაშის დიდ ქვაბში ხარშავდა, თურმე...

9
ორმოცდათხუთმეტი წლის რომ გახდები კაცი, მერე ქუდებზე დაიწყებ ფიქრს, ძალიან რომ არ დაგიბეროს. მითუმეტეს მაშინ, თუ უკვე 2017 წლის ათი დეკემბერია, მთებიდან წამოპარულ ზამთარს უკვე ალყაში ვყავართ მოქცეული და ცივი ქარი მეტიმეტად გამჭოლად უბერავს, როგორც გარეთ, ისე სულში...

ჰო, სულშიც — ამა წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქურჩის ოთხ ნომერში მომხდარი სადისტური მკვლელობა, როცა სკოლის ორი უფროსკლასელი დაპირისპირებული თანატოლების დანებით მიყენებული უამრავი ჭრილობებით გარდაიცვალა, იმის ნიშანია, რომ ჩვენი ოჯახი, სკოლა, მთელი საზოგადოება და, საბოლოოდ, მთელი ქვეყანა უმძიმეს კრიზისშია...

ეს პატარა ესკიზი შენთვის იწერებოდა, მკითხველო — და სხვა თბილი ჩასაცმელის საქმეს რომ მოილევ, აბა, ეს კეპებიც ნახე, თუ გამოგადგება რომელიმე. აი, ამ სიტყვებით იგუგლება — Newsboy Beret Cap...

ჰო, ნახე, თორემ ხომ ხედავ, მთებიდან წამოპარულ ზამთარს უკვე ალყაში ვყავართ მოქცეული და ცივი ქარი მეტისმეტად გამჭოლად უბერავს, როგორც გარეთ, ისე სულში...



ქეთი ნიჟარაძე

FESTINA LENTE!
ირქარე ნელა!

მე სულ გიჯერებ — ვჩქარობ ნელა,
ყოველდღე ვჩქარობ.
ვჩქარობ გულდასმით,
მონდომებით,
მშვიდად, უწყვეტად.
ბევრი საქმეა მოსასწრები ხარისხიანად —
რეცხვა, ოჯახის დაპურება,
მტერი, მოყვარე,
ნიგნის გადაშლა, წერა, კითხვა, სწავლა, სწავლება,
საყიდლები და სალონები, ტუში, პომადა,
ზოგჯერ ცრემლების შებრუნება,
ანდა პირიქით.
ბევრი საქმეა მოსასწრები საქმის გარეშე —
სინანული და მონატრება,
ან სიძულვილი.
ბრძოლა და დაღლა, თანხმობა და
აყალმაცალი.
ერთი რამ არის მოსასწრები შუალედებში,
თანდათან რომ არ დავემსგავსოთ
ქარხნებს, ფაბრიკებს,
გამოშენულს და გაუქმებულს,
გაპარტახებულს.
და თუ ვერ ვასწრებ, ვემსგავსები მეც ამ შენობებს,
გადის წლები და მტვრით ივსება
მეხსიერების
მიტოვებული, ფერმცვლილი დანადგარები.
და იმ წლებს შორის, სარკეში თუ ჩაიხედები,
თვალის თვალისთვის გასწორებას თუ მოვახერხებ,
მტვრი იცვლება ხოლმე კედლებს,
დაზგებს, თაროებს
და ხდება ისე, როგორც ზოგჯერ ხდება თბილისში —
კაფედ, სასტუმროდ, მალაზიად
გარდაქმნილები
ფაბრიკები რომ პოულობენ ახალ სიცოცხლეს.

ჰოდა, ირქარე!
დამიჯერე, ირქარე ნელა.
რეცხე, ამზადე, ალაგე და წერე, ასწავლე,
აკეთე საქმე, მაგრამ ზოგჯერ
ჩახედე სარკეს —
თვალის თვალისთვის გასწორება არ დაგავინყდეს.

AD MEMORIAM

სახსოვრად

რუსასოს

მინდა, გაამბო ის ამბავი, პატარა გოგო
დიდობაზე და დედობაზე რომ ოცნებობდა.
ნატრობდა გოგოს —
გრძელი თმით და გრძელი ფეხებით,
ენაჭიკჭიკას, უდარდელს და თვალეხატულას.
გოგოს, რომელიც აავსებდა ბედნიერებით,
გოგოს, რომელიც ირბენდა და იკისკისებდა,
გამოძერწავდა,
დაუკრავდა
და იმღერებდა.
ზოგჯერ ლოყაზე მიადებდა თბილ ხელისგულს
დედას და სთხოვდა, უსათუოდ მასაც ემღერა.
დედამ იცოდა, შეილივით რომ ვერ იმღერებდა,
მაგრამ ჩუმად და მონდომებით ამღერებოდა.
როდესაც ნიგნის ნაკითხვაზე ფიქრობდა ხოლმე,
იცოდა — ნიგნებს
ისევ თვითონ დაუნერდა და
მერე ნახატებს
თავის ხელით დაუხატავდა,
ფერად კაბებსაც
მხოლოდ თვითონ შეუქერავდა.

აი, დავჯექი და გაიმბე ამბავი, როგორ
ნატრობდა ზუსტად შენაირ შვილს ერთი გოგონა.
გაიმბე, რათა მიხვდე — ზოგჯერ,
ანდა ყოველთვის,
როცა ძალიან მოინდომებ, ოცნებაც ხდება.

VERBA VOLANT, SCRIPTA MANENT

სიტყვები გაფრინდება, ნაწერები რჩება

ზოგჯერ ისე მსურს, გაგაგონო, ხმა მოგაწვდინო,
კალამს თუ არა,
წვერწამტვრეულ ფანქარს ვიპოვი
იმ ძველ უჯრაში, მამაჩემი რომ ინახავდა
სასკოლო ნივთებს.
ქალაქის ნაცვლად აღმოვაჩენ მისალოც ბარათს,
ბაბუაჩემი ბებიაჩემს რომ უგზავნიდა
რვა მარტს, ახალ წელს.
და იმ ბარათზე, ტიტებსა და მიხაკებს შორის,
ძლივდასანახად ამოვკანრავ ერთადერთ სიტყვას.
რომელიც ადრე
არასოდეს მითქვამს ხმამაღლა,
რომელიც ადრე
არვისთვის მითქვამს პირდაპირ,
რადგან მეგონა გაცვეთილი და გამომშრალი.

ან იქნებ სულაც —
მაშინებდა ის ექვსი ბგერა.
ან იქნებ ზოგჯერ —
ვივინყებდი, როგორც ტკივილებს.
და ახლა, როცა ისეთივე მტვერმიყრილია,
როგორც მინაზე გაბნეული ხმელი ფოთლები,
იმ მინადქცულ მტვერს გავაცლი სულის შებერვით
და გამოვაჩენ.

ეს ერთი სიტყვა —
ბუნდოვანი, როგორც სიზმარი,
შეუსაბამო, როგორც მკვდართა მხურვალე ლოცვა
და მაინც ზუსტი, უტყუარი, როგორც ციფრები,
როგორც უღმერთოს აღსარება მოულოდნელი —
ეს ერთი სიტყვა ამოვკანრავ ძველ მუყაოზე:
გნატრობ.
და ასე გამოვუშვი ჯინი ბოთლიდან.
გნატრობ.
და ასე დავეხსენი გილიოტინას.

SI VIS PACEM, PARA BELLUM

თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის

არის ისეთი შეცდომები, რომ არ სწორდება
და გასწორებაც აღარ მინდა ხოლმე თვალების
სიმართლისათვის,
როცა თვალი ამეხილება.
ამიტომ ისევ პირს ვიბრუნებ
და თვალებს ვიბამ.
არის ომებიც
თვალახვეულ საკუთარ თავთან,
რადგან მშვიდობას უბრძოლველად ვერსად მიაღწევ,
არის სამყარო,
რომლის მსხვერველაც აღარ დამთავრდა,
როგორც სურვილის მოძრაობა დედამინაზე.
მე ყველა ნამსხვერვეს
ჩემს დაფლეთილ სხეულზე ვგრძნობ და
კი არ ვიხორცებ ამ ჭრილობებს,
უფრო ვიდრე ვივინყებ,
კი არ ვიყუჩებ ამ ტკივილებს,
მხოლოდ ვიხსლებ
და თავს მახსენებს მოგონილი ჩემი სიბრძავე.
იმ ჭრილობების ლიობებში
ყვავილებს ვრგავ და
ძლიერდებიან, იზრდებიან, მაგრამ სრულებით
არ მაშინებენ ყვავილები არდავინყების,
თვალის ახელად ჩემს სხეულში ამოსულები.
ვუვლი ყვავილებს,
ისე ვუვლი, აღარ ცხრებიან
და მრავლდებიან — აითვისეს უცხო მიწები,
მათი ფერებით დაწულ გვირგვინს თავზე დავიდგამ
და დავამთავრებ იმ სიტყვებით,
რითაც ვინყებდი —
რომ ყველა ომი
ოდესლაც და სადღაც დამთავრდა,
ის ომიც, სადაც მე ჭრილობებს უფრო ვიდრე ვივინყებ,
არის სიმართლე,
გამხელილი საკუთარ თავთან
თვალის ახელით დასრულდება როცა სიბრძავე.

IGNIS SANAT (TIBI ET IGNI)

ცეცხლი კურნავს (ნაიკითხე და დანვი)

მე არასოდეს არ დაგინერ არცერთ წერილს და
არ მოგიყვები, რა გადაამხდა დასაბამიდან.
ამოიკითხე ჩემს თვალებში ჩამდგარი შიში —
ქარი ხორშაკი, თავსხმა წვიმა, ჭექა-ქუხილი —
ყველა ამინდი,
სადაც მარტო უნდა გამეშვი,
ყველა სტიქია,
რასაც შენგან მივყავარ სადღაც,
სადაც არ არის გაფლნთილი ჰაერი სუნით,
ახალმოთბულ ჩვეულებრივ ბალახს რომ ასდის.
ნაიკითხე და
დავიწყე ყველა ტკივილი,
ნაიკითხე და
ცეცხლს მიეცი ყველა ცოცხალი და
მხოლოდ სიზმრები დამიტოვე აბგაში საგზლად
მოგონებების — აკინძული ყელზე მძივებად.
ისინი ახლა აღარაფერს დააშავებენ,
ისინი ახლა ვეღარაფერს შეცვლიან მაინც.
ამოიკითხე მისხალ-მისხალ ყველა სიმართლე
ჩემს სხეულზე და ჩემს თვალებში
და ცეცხლს მიეცი.
რადგან ცეცხლი ყველაფერს კურნავს,
რადგან ცეცხლი შველის ყველაფერს.

ALEA IACTA EST

წილი ნაყარია

ბრძნად მტყველები ვერცხლი არს წმიდაი,
დუმბილი — ოქროი რჩეული.
სოლომონ ბრძენი

მე ვარდვევ დუმბილს — რჩეულ ოქროს.
დუმბილს, რომელსაც
ჩაენაცვლება არა ვერცხლი, არამედ რკინა.

მოვიხმობ სიტყვებს —
დავინყებულს საგულდაგულოდ,
მეხსიერების შორ კედლებზე მიმოფენილებს.
მოვიხმობ მშვიდად, უდრტინეველად,
ჩუმად მოვიხმობ,
ვალაგებ ფრთხილად,
ვარჩევ ნელა, თანმიმდევრობით,
ვათბობ სურვილის ნარჩენებით
და კალმის წვერით
ვათავისუფლებ ტყვეობიდან —
ფურცელზე ვუშვებ.
ცოტა მიაგნებს,
სიტყვების კვალს გაჰყვება ცოტა,
დაგემოვნებას შეეცდება ბევრად ნაკლები.
მათ შორის ერთი მაინც ალბათ
გემოს გაუგებს,
აღლოს აუღებს,
დაიტოვებს და გაამრავლებს —
მზის ნაპრალეთან გაათბობს და
ხან ხმით, ხან უხმოდ
დააფრთხიანებს —
სიტყვად იტყვის, ან სიტყვად დანერს.

მე წილი ვყარე —
რჩეულ ოქროს ვაქცევ რკინად და
დაველოდები ხმაურიან ჭურვებად სკდომას.

VENI VIDI VICI

მივედი, ვნახე, გავიმარჯვე

ლამენათევი, უკეთ ვიჭერ დღის პირველ სხივებს.
ვალე სარკმელს და ვიხედები დასაწყისისკენ.
და ეს არ არის სეირნობა მდინარის პირას,
დაბრუნებაა —
დინებათა საპირისპიროდ.
გზას ისე მძიმედ, შეუმჩნეველად მიიკვლევს ნავი,
თითქოს იმ წლების სინათლეს და სიცარიელეს
სიბი ქვებივით ჩანყობილა ფსკერზე ფენებად,
როგორც ტკივილი,
სიბრალული ან დაბერება.
მივალ, ვნახავ და
თვალს შევავლებ იქაურ დღეებს,
რასაც მუდმივად მაშორებდა მინა და წყალი,
ვიტყვი: მივედი, ავიხილე ორივე თვალი,
მაგრამ ბრძოლა და გამარჯვება
ვერ მოვასწარი.

AD CAPTANDUM VULGUS

ბრბოს საამებლად

ირჩევ — მოუსმინო მოძღვარსაც და
გაითვალისწინო წინაპარი,
კარგად აითვისო კანონი და
დამორჩილდე.
რასაც ისინი ქადაგებენ,
რასაც ისინი გირჩევენ, ან
რასაც ისინი მოითხოვენ,
აღასრულო.

რადგანაც
ასეა სამყაროში —
ვიდრე საკმარისად მოითმენ და
უკან დამშვიდებით მოიხედავ,
ვიდრე გაოცება გადაგივლის,
დაიღლები.
ვიდრე აჯანყდები საბოლოოდ,
ვიდრე შიშებს უკან მოიტოვებ,
ფრესაც ვერ ასახავ მონიტორზე —
დაბერდები.
სანამ გაიაზრებ, რა გსურდა და
სანამ გზას გაიკვლევა აბსურდიდან,
სანამ გამოიცნო გამოცანებს,
შეიცვლები.
მერე ვერ მოასწრებ არსებობას,
მერე ვეღარ შეძლებ დანებებას
და ის ათასგვარი დინებები
დაგახრჩობენ.
და თუ გაკვალულ გზას დაადგები,
თუკი დანაყრდები ნარჩენებით,
თუ არ დაიღლები არჩევით და
გაჩერდები,
ასე იარსებებ ნახევრად და
ასე ბრბოს თვალეში ჩახედავ და
ისევ იმ ბრბოსათვის საამებლად
გადარჩები.

EJUSDEM FARINAE

ერთი ცომისგან მოზელილი

სენეკა

ჩვენ —
ერთი ცომისგან მოზელილი ორი არსება,
მინაზე მყარად ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ —
ისევე, როგორც დასაწყისი ან დასასრული.



ჩვენ —
 ორი შედეგი ასი ბრძოლის და ერთი ომის,
 უერთმანეთოდ ხან ვსუნთქავთ და ხან ვერ ვარსებობთ,
 ისევე, როგორც გამარჯვება ან დამარცხება.
 ჩვენ —
 მზითა და მთვარით, კალენდრებით გადახურებულ
 თონეში ერთად ჩაკრულ პურებს ვგავართ ყოველთვის —
 თეთრად და შავად ამოღებულს, კარგად გამოცხვარს.
 ჩვენ —
 ერთ დიდ ქალაქში ერთნაირად დაბადებული,
 ერთი მინის და ერთი ენის მქონე და მაინც
 ერთმანეთისთვის გაუგებრად მოლაპარაკე,
 ჩვენ —
 ერთნაირი სანყისის მქონე,
 სულ სხვადასხვა დასასრულებით,
 ვერასოდეს ვიქნებით ერთად.
 ვერასოდეს ვიქნებით ერთნი.

რადგან ეს ცომი,
 მოზელილი ვართ საიდანაც,
 სხვადასხვაგვარი შედეგით და სახელით ცხვება,
 განსხვავებული თარიღებით აღიბეჭდება
 და ისახება სტატუსებად და მშრალ რიცხვებად.
 და ამ ციფრებით
 ვერასოდეს ვიქნებით ერთად,
 და ამ სიტყვებით
 ვერასოდეს ვიქნებით ერთნი.

NON SUM QUAILS ERAM
აღარ ვარ ისეთი, როგორც ვიყავი

თუკი შენამდე მოსასვლელი ყველა ბილიკი
 დაიხვეს და სხვა გზა აღარ გამოიძებნა,
 თუკი ჩრდილები დატოვებენ საკუთარ სხეულს
 და ისწავლიან ყოველ დილით გამოღვიძებას,
 თუკი მზე ასჯერ დაბნელდება მთვარესთან ერთად
 და ნეონები ამზევდება დღისით და ღამით,
 თუ ზედმინეებით აცხადდება
 ყველა სიზმარი
 და სურვილები გაცხადდება
 თანმიმდევრობით,
 მაშინ გეტყვი, რომ სხვა ვიყავი და ახლა სხვა ვარ,
 რომ ჭრილობები შემხორცდა ბილიკებით.

SICITUR AD ASTRA
ასე მიდიან ვარსკვლავებისკენ

თავდაპირველად
 იყო დიდი მოწყენილობა,
 რომელმაც მთებში უნებურად დაიდო ბინა,
 დაისადგურა
 ხის სახლების მოგონი ჩრდილში და
 თანდათანობით ამინდებიც დაიმორჩილა.
 იქცა სუსხიან ღამით ადრე გამოღვიძებად,
 სახელდახელოდ გამომცხვარი პურის სუნად და
 მოლურჯო კვამლად,
 ბუხრიდან რომ ცისკენ მიძვრება,
 თოკზე გაფენილ სარეცხებზე გაბმულ სურათად.
 იქცა ბილიკად, სადაც მისვლა დაეინყებოდა
 ზამთარს და ზაფხულს,
 სინანულს და ზოგჯერ სიცილსაც,
 სადაც დროდადრო მოვიხმობდი ჩემთან მეგობარს,
 მაგრამ ვადები უსამელოდ გადამიცილდა.
 ამ დროს გამოჩნდი.
 შეუმჩნევლად გამოეყავი
 მთებზე საბნებად გადაფენილ რძისფერ ნისლებს და
 ისე აჩქარდა მაჯისცემა, ასე მეგონა,
 რომ მისი ფეთქვა
 სადღაც, ცხრა მთას იქით ისმოდა.

მერე ვისხედით ღამის ნამით დამზრალ მინაზე,
 ვუცქერდით ზეცას დაბნეული თვალის ცეცებით,
 ვარსკვლავთა ცვენის ალბათ სწორედ მაშინ ვინამეთ
 და ამოვკრიფეთ წარსულიდან
 მზის ნამცეცებით.

ACTADIURNA
ქრონიკა

ამ ქუჩას ადგა
 ოქროსფერი ხეების ჩრდილი
 დიდი ხნის წინათ და ნელ-ნელა გადაეცალა,
 რადგან ამ მინას დამძიმება ჰქონდა მისჯილი,
 ის სიმსუბუქე
 ჩემი სახლის ჩრდილმა შეცვალა.
 ახლა აქა-იქ
 კანტიკუნტად მდგარი ხეები
 ღია სარკმელში სევდიანად იყურებიან
 და იპარება შუალამის მრუმი სიჩუმე
 აივნის გრძელი, ოვალური რიკულებიდან.

ალა დათუკიშვილი

ალიაბადი

რთველი იწყება, მე ნანნავებს ვაზზე გადავშლი,
 ხილის ხორაგი დაიყრება, თელე ნაბადი,
 ნეტა თუ მოდის რქანითელი ზაქათალაში,
 ან ცა წითელი რად მესიზმრა ალიაბადი?
 გამოუყვები გათენებას გზას კახეთისკენ,
 თან გამოგყვება განთიადის მთვარე შანდალი,
 და მომიყვები, რომ წუხელის ისევ გესიზმრა,
 მხარე, რომელსაც არ ჰყოლია ქვეყნად ბადალი.
 აგვიყვებდნენ ნაომარი მგელთან ნაგაზი,
 გაგორდებთან ეს ორსული ყურძნის გოდრები,
 გადამიტყდება ჩემი ჩრდილი, როგორც ავაზა,
 და შენს მკლავებზე უჩრდილობლად გადავგორდები.
 გათენდება და დაიყვლება სოფლის განგაში,
 მოიპოვებო ყველამ თქვენი სარჩო-საბადი,
 შენ მორცხვად მეტყვი, — გამომყევი ზაქათალაში,
 იცი, როგორი ქართულია
 ალიაბადი!

ზოო-პანკი

ჰა,
 შემოდგომა
 ზაფხულის სახე
 ხმელი ფოთლებით
 ჩამოიხოკა,
 ქარის მოტანილ
 წითელ მიხაკებს
 ქარი ნაიღებს ისევ
 მარტოკა.
 ცა,
 კენტი ჩლიქი,
 თეთრი მარტორქა,
 წუხელ მოსტაცეს
 ტროპიკულ ბაღებს
 და დედამინა
 ალცჰაიმერი,
 თავის ხელგაშლილ
 ზოოპარკს აღებს.
 ჰა,
 შემოდგომა,
 ბავშვების მახე,
 სკოლის ზარები,
 გემახსოვრება,
 ექსკურსიაზე
 ჩვენ ყველამ ვნახეთ,
 გალია როგორ
 დახრეს ლომებმა.
 სიმწრით
 იხოკავს
 ზაფხულის სახეს,
 სხვა შემოდგომა
 ფოთლის-ფრჩხილებს,
 და ნემომპალის
 ნიაღში ახვევს
 ამ დედამინას
 დროის მხილება.

აირანი

ახლა სტამბოლის სუნი ასდის არაბულ ყავას,
 ჩაიხანაში გრძელკისერა ჩაიდნებია,
 ჩვენსკენ საცაა აიღებენ მომნიფულ ყანას,
 მზეს თავთავები შაქარით ჩააძნებია.
 თითებს აურევ შენ ლუქუმის ფქვილის სიტკობში
 და ცხელი ქარი აიტაცებს ფერუმარილებს,
 აბაიების მერცხლობანა ბუხურს მიმოშლის,
 უსამშობლო აგვისტოებს გააბათილებს.
 დაარიგებენ მწყურვალთათვის თურქულ აირანს,
 მაგრამ ქართველი დაწყუროს, საკითხავია,
 ორთქლი სულივით ამოუვა მდულარ ჩაიდანს,
 რომელიც უცებ გამოცალეს, გაგინარია.
 ქუჩებში ახლა საიფუნის ხმები გაისმის,
 ჩვენთან კი მწიფე გოგონები კრეფენ რქანიტელს,
 ქვაფენილიდან დაიძახებს ცხელი დაისი,
 რომ რთველია და გოგო-ბიჭი კახეთს დაწინდეს.
 და თვალს ჩაგიკრავს კრილოსნის ოსტატ-ვაჭარი,
 რომ ქალღმერთების ღიმილიდან მცირე არგუნო,
 შენ ცას ახედავ იმ სიმაღლის ექოდ აჭრილი,
 რა სიმაღლითაც საიფუნებს ახშობს ჩაკრულს.
 აუვა სუნი სტამბოლისა არაბულ ყავას,
 როგორი ლადოს გრძელკისერა ჩაიდნებია,
 ჩვენსკენ საცაა აიღებენ მომნიფულ ყანას
 და ვარსკვლავები ალაზანში ჩაითვლებიან.

ერთბუჯა

როცა მზეები დააშრობენ ყველა მდინარეს
 და კალმახები ქარის წაღმა აფრინდებიან,
 შენ დაჰაუდან გადახედავ მთვარის მინარეთს,
 და იტყვი, — აქაც, სულ ქართული ამინდებია.

ცა დამწვარ კანზე აიტარებს კოლხურ მალამოს,
 მერე პრაიდი ნაბიჯებით მოვა ბრონილიდა,
 დაე, სიახლე, როგორც სურდეთ, ისე ატარონ,
 შენ სატრფოსავით შეითვისე ძველი კოლხიდა.
 სატრფოზე ალბათ არასოდეს გეკითხებიან...
 რომ არა გეკითხონ, უნდა იყო ისე ძლიერი,
 როგორც შენსავე მაჯებს ქვემოთ ნახეთქებია,
 ურომლისოდაც ვერ იქნები კავკასიელი.
 გველის ტანივით, სალომეას წელივით დადის,
 გზაზე ათასი ლამაზმანი, ათასი ქალი,
 შენ ის კაცი ხარ, რომ არ გავხარ ხორციელ ნადირს,
 ყველა ნადირი ერთი ქალის ფეხთან დაკალი.
 თუმცა არავის უთხოვია ამხელა მსხვერპლი,
 ის ქალიც უკვე რა ხანია გასცდა ქალობას,
 მთელი ღირსება ამაშია, — გიყვარდეს ერთი, —
 ამბობ და ვხედავ ირგვლივ იმდენ „არარაობას“.
 რომ მე მინდება ამოვუშრო ცრემლის მდინარე,
 ქალებს, რომლებიც ღალატს და შიშს განრიდებიან,
 ნეტა აჩვენათ, როგორ უცქერ მთავრის მინარეთს
 და როგორ ამბობ, რომ
 ხეობის ამინდებია...

წაენი

წერას ვერიდები წერას ატანილი,
 შენი თვალბეზი ცაზე წრენირები,
 ხემ რომ გამოიბა მკერდი ატამივით,
 და რომ მეცილება.
 ავლებს შელამება ასე თავმომწონედ
 ყველა დამორებას ერთი მანძილებით,
 მთელი სიზუსტით რომ მინდა არ მომწონდე
 და რომ მეძალეები.
 აჰა, სადაცაა ძვლებში დავიმტვრევი,
 ისე წამიკითხავ —
 „შენ და პოეზია?..“
 როგორ „granum“ — იდან იქმენ გრანიტივით,
 ბრბო კი პოზიორობს.
 ნება ნოესია...
 ყველა გადარჩენის,
 ყველა შეხვედრის და
 ყველა ერთად ყოფნის,
 შეგუებულნი ვართ, ჩვენში მისიონერს
 ვაჯილდოვებთ ყულფით.
 იყო რეიდები, არის პრაიდები,
 იყო ოაზისი, დიდი მწვანე მოლი,
 ახლა უდაბნოა, წყალსაც განერიდა
 ხმელი სინამონი.
 ჰოდა, წამიკითხე, ლექსად ამიტანე,
 მე ვარ, რაც შენშია შენი მესამედი,
 წერას ვერიდები წერას ატანილი,
 დუმის ვესალმები
 ლურჯი კესანეთი...

ძალა

მე რომ უშენო ზამთრებს ვუძღვებ,
 ეს არის ძალა,
 ქუჩა-ქუჩა რომ დავდივარ და
 დუმით ვკივი,
 თორემ ზამთარი როგორც მოვა,
 ისევე ნავა,
 არ შეიცვლება ეს ცხოვრებაც,
 ეს პანტომიმი.
 შექმნის უზადო წარმოდგენებს,
 შესტებს გაყინავს,
 დაშლის, ააწყობს, ისევ დაშლის
 ბუტაფორიას,
 ყველა ვირუსებს ეშველება,
 როგორც ანგინას,
 და ეშველება მაშინ, როცა
 არა გგონია.
 უყვარს დაცინვა ცხოვრებას და
 მასხრად აგდება,
 როგორც დარბაზში ბოლო რიგზე
 მსხდომი წყვილები,
 თითქოს საერთოდ არ ანაღვლებ
 ზოგჯერ განგებას,
 და დაწინდული, ღალატისთვის
 გაინირები.
 მე ხშირად ვუსმენ ღამლამობით
 ქალების ტირილს
 და გაქცეული კაცებისგან
 ესწავლობ დარდმანდს,
 ასეთ დროს თითქოს უშენობაც
 რაღაცად მიღირს
 და მარტოობის შემოწოლა
 გულთან არ მიმაქვს.
 შენ რომ უჩემო ზამთარს უძღვებ,
 ეს არის ძალა,
 მერწმუნე, მარტო გაცილებით
 იოლად ივლი,
 რადგან თუ მოვალ, ისე მოვალ,
 უთუოდ წავალ,
 არ შეიცვლება ეს ცხოვრება,
 ეს პანტო...
 მიმი...



ანასოფიას



პოეტი

ბესიკ ხარანაული

კაცს პოეზიის ზნე რომ აღმოაჩნდება, მისი ცხოვრება იოლი ვერ იქნება. მის შემთხვევაშიც ასე მოხდა. რაც თავი ახსოვს, მიდის, მილაპარაკობს და იღვრება ლექსებად. თუმცა, პოეზია და პოეზია. ის, რასაც ბესიკ ხარანაული ბევრი წელია ქმნის, ცალკე სამყაროა, რომელიც არავისას ჰგავს. სამყარო — თავისი გმირებით, დევამირებით, ხეიბარი თოჯინებით, ბავშვობისთვის გავზავნილი რძის ყლუპებით, ხის წვერზე შემომჯდარი შაშვეებით, ქადაგ-ხუცესებით, ამა ბესარიონებით, ჯორზე ამხედრებული რაინდებით, მთავარი გამთამაშებლებით და რა ვიცი, ვისით აღარ. იქ ხეტილი ადვილი არ არის. სხვა მუხლები სჭირდება, სხვა ძალა. თავად კი ამბობს, სტრიქონია ჩემი მანძილი, მაგრამ საქმეში ჩახედულბმა კარგად იცინა, რა რთულია ამ სტრიქონამდე მისასვლელი გზა.

სტრიქონიდან ტექსტამდე და იქიდან მეტატექსტამდე კიდევ უფრო მძიმე აღმართია. ორ ათწლეულზე მეტია, მისი ნაწერები გასცდა პოეზიის სამანს. მეტაპოეზია უწოდა თავად ამ უწარს, რომელიც, მისივე თქმით, ბევრ უწარს გამოივლოვებს ცხოვრებაში და დარჩება მეტაადამიანთან ერთად. სწორედ ასეთი მეტაპოეტური ოპუსია „დიდი სმა“ — მისი ნაწერის ამტეხი წიგნების ერთგვარი გაგრძელება, სადაც ავტორი მთის წესებზე და ტრადიციებზე გვიყვება. გვიყვება ერეკლე მეორის ვაჟზე, ბიჩინაგაზე, რომელმაც საბედისწერო „დიდი სმა“ ქნა, წერის სამშაბათსა და ქიტო პაპაზე, კუტ-პეტრეზე, ქადაგ-ხუცესზე, მრავალნაკლებურულ ადამიანზე, საიქიოსა და სააქაოზე... ერთი სიტყვით, ბევრ რამეზე. და მაინც, მთავარი გამაერთიანებელი ამ ყველაფრისა, ისევე როგორც მის ყველა ტექსტში, პოეზიაა — პოეზია, რომლის დასაგემოვნებლადაც ავტორი მკითხველს გულწრფელად ეპატიჟება: დიდი ლუდი ვქენ, და ვისაც გნადისთ, შეეღობო!


— პოეზია სურვილით არ არის, ამ წიგნში ამბობთ — „დიდი სმაში.“ მაშ, რით არის პოეზია, რა აწერინებს ადამიანს, წერა შრომაა თუ მისტიკური აქტი?

— ზუსტად არავინ იცის, რა განერინებს. რაღაც იმპულსი ჩნდება, ზოგი — შთაგონებას ეძახის, ზოგი — მუხას. მე ვერაფერი დავუძახე. არ ვიცი, რა დავარქვა. არც ერთი არ ასახავს იმას, რაც წერისკენ გიბიძგებს. მუხაც პირობითია და შთაგონებაც. ფაქტია, რომ შენ კი არ ეძებ, ის გპოულობს და კონკრეტულ სიტყვებს ამოგაძახებინებს. ვილაცამ შეიძლება იფიქროს, რომ ეს ყველაფერი მოგონილია. არადა, სიმართლეა. მე, მაგალითად, ასე ვარ. ამ დროს პირველქმნილ თავისუფლებას გრძნობ, გახსნილი ხარ, თუმცა ეს გახსნილობა რაღაც მომენტამდე გრძელდება.

მწერალში ან ადამიანში, რომელიც წერს, სულ არის ლიტერატურული ქოფაკი, რომელიც თვალს გადაეცემა, ამ ყველაფერს ესწრება. როგორც კი წერის, უფრო სწორად, ჩანერის პროცესი ცოტათი გაგიგრძელებს, მაშინვე ჩაერევა ხოლმე და აფრთხობს იმას, რაც თავს ზემოთ დაგტრიალებს, ხელში განვდის სიტყვას. ლიტერატურულმა ქოფაკმა იცის, როგორ იწერება წინადადება და გკარნახობს, როგორ გამართო აზრი, როგორ გამოთქვა უფრო ზუსტად, რისი თქმაც გინდა. მიაყურადებ მის ძახილს, სიტყვების გადარჩევას დაინებ და საქმე ფუჭდება: არ უნდა უსმინო, პირდაპირ ჩაინერო, დედიშობილა მიიღო სიტყვა. მერე შეგიძლია შეეხო, მაგრამ ძალიანაც არ უნდა ჩაერიო, არ წაართვა ის პირველყოფილება. ეს ცოტა რთულია, რადგან ლიტერატურული ქოფაკი ყველაშია. ადამიანშია. ის რომ არ იყოს, მწერლობა კი არ იქნებოდა!

— მწერალს გულისხმობთ თუ, ზოგადად, ადამიანს?

— მწერალს. საერთოდ, ქოფაკი ყველა ადამიანშია. მაგალითად, ზნეობრივი, რომელიც აკონტროლებს მის ქცევას. მწერალში კი ლიტერატურული ქოფაკი მძლავრობს, რომელიც თავისუფლებას



უზღუდავს, როცა ის რაღაცის მოფიქრებას ცდილობს. მე, მაგალითად, მოფიქრება მიჭირს, უფრო სწორად, ეგ ტექნიკა არა მაქვს. რაც გინდა დიდი სათქმელი მქონდეს, ჯერ უნდა დავინახო. ბნელში ხელებს ხომ იმის მიხედვით აცეცებ, რასაც ეძებ, რაც გინდა?! მეც იმის მიხედვით ვწერ, რაც გულის სიღრმეში მაქვს და მინდა.

— ლექსშიც ასეა და ტექსტებშიც?

— ყველგან. დრო იყო, ერთი და ორი სტრიქონი არაფრად მიმაჩნდა. იმიტომ, რომ ადამიანის ბუნება ასეთია: რაც საკვების მოპოვება დაინჭო, სულ უფრო მეტი და მეტი უნდა. უნდა, მეტი იყოს, დიდი იყოს, მაგრამ გადის დრო და შენ თავს ეუფლები — აბა, ერთი სტრიქონი დამინერე! ერთი სტრიქონი მომეცი! და ხვდები, რომ ეს ერთი სტრიქონი ძალიან მნიშვნელოვანია. პირამიდებს ჰგვანან მცირე ლექსები — რთული შესათხველია. ახლა ასე ვარ: სტრიქონია-მეთქი ჩემი მანძილი, საკუთარ თავს ვეუბნები. როგორც კი ამ მანძილს გავცდები, ნაკლებ სიამოვნებას ვიღებ, ლიტერატურა მითრევს თავისკენ.

— წერა რომ დაინწყეთ, მაშინაც ასე ფიქრობდით? ძველ დროს ვგულისხმობ.

— არასოდეს არაფერზე მიფიქრია. რაღაცის მიხედვით ვაგებდი ლექსებს: ხან

გრაფიკული მონახაზით, ხან — მუსიკალურით... მუსიკაზე არ ვწერდი, არც მუსიკა მედგა ტანში წერისას. შეიძლება სივრცეში შემომეხაზა რაღაც და იმისთვის მიმემგავსებინა. ეს იყო ჩემთვის მთავარი და არა ათმარცვლიანი ან ხუთ-სტროფიანი ლექსის შექმნა. ესეც დალოცვილი საქმეა, მაგრამ საქმე არაა. ჩემთვის პოეზია თავისუფლებაა, სადაც ყველაფერი გვეუბნება: სივრცეებს ნუ შეზღუდავთ, ნუ დაამოკლებთ, ნუ დასვამთ სამანს, ნუ იტყვიოთ, რომ აქ ინყება, აქ მთავრდება; ეს შავია, ის თეთრია. ნუ იტყვიოთ! არა აქვს მწერალს ამის უფლება!

— ანუ პოეტი არის ის, რასაც ხედავს, როგორც ხედავს და სადამდეც ხედავს?

— ბევრი დიდი პოეტი, მაგრამ ცოტა-შია ცოცხალი პოეზიის გენია. მაგალითად, რემბო, ბარათაშვილი... ბარათაშვილი ძალიან დიდია ჩემთვის. თვითნაბადია: ის ვერ ეტყევა თავის ლექსებში და წერს მეტაპოეტურ წერილებს, ცხოვრობს მეტაპოეტური ცხოვრებით...

„ სტრიქონია ჩემი მანძილი “

— რატომ მაინცდამაინც ბარათაშვილი და არა — გალაკტიონი. ისიც ხომ თვითნაბადი და გენიალურია?

— გალაკტიონი გენიოსია, მაგრამ ის მაინც რეალიზებული წავიდა იმეცეცნად. ბევრი რამ მოსინჯა. შეძლო ეთქვა — „ათასი რითმა გვინდა ახალი“ და სხვა ამისთანები. ბარათაშვილმა კი მხოლოდ 27 წელიწადს იცოცხლა. სხვათა შორის, ბარათაშვილის პოეზია მძლავრად „დადის“ გალაკტიონთან. ეს არავის უკვირს, მაგრამ უცნაურია, რომ მისი რბოლა აკაკისთანაც იგრძნობა. თავად აკაკი კი ყველაგანაა, ყველა დიდ პოეტთან, იმიტომ, რომ ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. ქართული პოეზიის მხსნელია აკაკი. იმ სიმსუბუქეს, რაც მან მოიტანა, მის გარეშე ვერავინ მიეკარებოდა. ამიტომ შენატრის გალაკტიონი. რატომღაც მგონია, აკაკი მისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო, რადგან გალაკტიონის იდეალი სიმსუბუქეა. მაგრები იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსები. დიდი ოსტატები.




— სამწუხაროდ, უმეტესობა ჩარჩოში ჩავსვით, პედესტალზე შემოვდით და ისე ვერ ვანვით მკითხველს, როგორც საჭიროა.



— დღეს ქვეყანაში ქართული სიტყვა დაკნინებულია და ეს ჩვენი ბრალიცაა, მწერლების, ვისაც კალამი გვიჭირავს. ქართული მწერლობა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყანა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის პირმესაყარზეა, ეს ჩემამდეც ბევრს უთქვამს. საუკუნეების განმავლობაში ეს გზაჯვარედინი თავის კვალს ამჩნევდა ლიტერატურას. რუსთაველთან ნახეთ, როგორი მოულოდნელი ამბები ხდება: „ბნედიტი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია“ — აღმოსავლეთია. მთელ აღმოსავლურ პოეზიაში მიჯნურობად სწორედ „ბნედიტი ბნედა, სიკვდილი“ მოიაზრება. და იქვე, იმავე წუთს ეს თემა დასავლეთით გრძელდება: „სჯობს საყვარელსა უჩვენენ, საქმენი საგმირონია.“ ორივე თქვა. ორივე სამყარო შემოიყვანა „ვეფხისტყაოსანში“. ეს ორი ხაზი სხვადასხვა კულტურულ მიმართულებას უკავშირდება: აზია და ძველი აღმოსავლეთი კულტურული განვითარების აკვანია, მთელი სიბრძნე იქიდან წამოვიდა. მეორე მხრივ, ძველი რომაელი პოეტებიც გავიხსენოთ — ასეთი მელექსეები ველარ გაიზრდებიან. მათნაირი პოეზია აღარ იქნება. ისინი, თავის მხრივ, ძველი ბერძენი პოეტებისგან მოდიან. რომაელები ისეთ რამეს არ დანერგენ, ძველი ბერძენების აწრდილებმა დასტური არ უთხრან. ჰომეროსის აწრდილი მუდმივად თავზე ადგათ. დიდები იყვნენ, ძალიან დიდები — სულ ორი კეისრის დროში. ახლა პოეზია ეგეთი აღარ არის, დაიმცრო. ადამიანიც დაიმცრო. დაჩიავდა.

— საბედნიეროდ, ჩვენც გვყავდა რუსთაველის სახის ჩვენი ჰომეროსი. ამ თვალსაზრისით ქართველებს ძალიან გაგვიმართლა.

— რუსთაველზე ფიქრისას სულ მიკვირს — საიდან მოვიდა, რომელი ზღვიდან მოგვევლინა?! არაფერი თავის გარშემო ისეთი არა აქვს, ლიტერატურას ვგულისხმობ, რომ თქვა: აქეთ ვეშაპია, იქით — ზვიგენი. საოცარი ძალა აქვს. ვინც შეეხო, ყველა გააგიჟა. არც განელდება არასოდეს. რაკი ამ სალახანა დროს უძლებს, აღარ განელდება. იმაზე დაბლა, ახლა როგორც ვართ, ჩვენი კულტურული ენერგია აღარ დაეშვება.





იმაზეც მიფიქრია, რა შეიძლება ჰქონდა რუსთაველს წაკითხული. მარტო ხომ არ იქნებოდა, მეგობრები ეყოლებოდა. რას კითხულობდნენ იმ პერიოდში, რა მოსწონდათ? ყველაზე მეტი ამ თვალსაზრისით მეოცე საუკუნეში დაინერა. ბევრი იკვლიეს, იმუშავეს. რუსთაველის კომისია არსებობდა. კომპილაციების შესახებ მსჯელობდნენ, პასუხი უნდა გაცემოდა, რომელია მისი და რომელი — სხვისა. ვეუბნებოდი, დაანებეთ თავი, ლექსი უნერია რუსთაველს, მისი სულის ნათქვამია. დიდა, უშველებელია. ვერ ხედავთ, ქმინავს? ვეშაპი რომ სუნთქავს, წარმოგადგენიათ, ოკეანეში რა ხდება? ისიც ასეთია. დღემდე აღწევს, ჩვენს ეპოქამდე მოდის რუსთაველის სუნთქვა.

ბევრი იყო რუსთაველით შეპყრობილი: ბარათაშვილი ხომ იყო და იყო და ცოტა ადრე — ბესიკ გაბაშვილიც. რუსთაველი — თავისთავად — და სულხან-საბა ორბელიანიც სულ ზეპირად იცოდა. კარგი პოეტი იყო ბესიკი. „ტანო ტატანოზე“ სუფთა და წკრილა ლექსი იშვიათად წამიკითხავს. თეიმურაზი და არჩილიც რუსთაველს აგრძელებენ და თავი ისე უჭირავთ, თითქოს თავის თოქს ეწევიან...

— გასული საუკუნის 60-იანები, როდესაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩნდით, საზოგადოებას მწერლის მიმართ საკუთარი მოთხოვნები ჰქონდა. ცენზურას რომ თავი დავანებოთ, ყველგან „ტრადიციული“ პოეზია ისმოდა. როგორ მიგიღოთ სრულიად განსხვავებული სტილისა და მენტალიტეტის პოეტი ტრადიციულ ლექსზე გაზრდილმა საზოგადოებამ?

— ბედმა გამიღობა, ისეთ კარგ ხალხთან მომიწია ურთიერთობა. გრიგოლ აბაშიძე მახსოვს გამორჩეულად — ძალიან საყვარელი პიროვნება. არაჩვეულებრივად იცოდა ყველაფერი ქართული, მათ შორის, ხალხური პოეზია. საერთოდ, ბევრი უარყოფითი მიუხედავად, იმ დროში უგანათლებულესი ხალხი ცხოვრობდა. ასეთი სტანდარტი იყო — უნდა გცოდნოდეს. განათლება ფასობდა. უამისოდ სრულყოფილი არ იყავი. წიგნზეც იგივე ხდებოდა — ვერ იტყოდი, რომ ეს ავტორი არ იცი, ან ეს წიგნი არ წავიკითხავს. შერცხვებოდი, არ შეიძლებოდა. ეს არ იყო სწობიზმი. სწობიზმი იცით, რა არის? როცა ყველა შვე პურს ჭამს და შენ თეთრს ეტანები, გარბიხარ და სადღაც შოულობ. იმ პერიოდში ჩვეულებრივი შავი პური იყო ლიტერატურა. ეგ გვქონდა საკვებად და სხვა არაფერი.

— შეიძლება ამ გარემოებამაც შეუწყოს ხელი პოეზიაში ახალი ნაკადის შემოსვლას, რომელთაც ეგრეთ ნოდებული „ვერლიბრისტები“ დაარქვენ და რომელთა შორის, ლიტერატურის კრიტიკოსების აზრით, თქვენ გამორჩეული ხართ.

— არ ვიცი, მე არც ერთ სკოლაში არ ვყოფილვარ. ვერ ვიტყვი, რომ ვინმესთან ერთად მოვედი. მთელი ცხოვრება ჩემი გზა მქონდა, იმიტომ კი არა, რომ ვინმეს პატივს არა ვცემ — პოეზია ერთად დგომით არ იქმნება. ერთ აზრზე იყვენ „ცისფერყანწელები“. გალაკტიონი ცალკე იდგა. კოლექტივმა ვერ შექმნა გალაკტიონი. „ცისფერყანწელებმა“ ბევრი დიდი საქმე

გაკეთეს. გრიშაშვილს მისი შექმნილი პოეტური ლეგენდები დაუმსხვრიეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გრიშაშვილი არ ვარგოდა. პოეზია პოლიტიკა არ არის — ერთმა ხელისუფლებამ გამარჯვოს და მეორე დაამხო. პოეზიაში ერთის გამარჯვება მეორის დამარცხებას არ ნიშნავს. ჩვეულებრივი განვითარებაა. შერჩევაც არაა — განვითარება. ის კარგი რომ გამოჩნდება, კარგი მერე ხდება. ერთი სიტყვით, მე ჩემი გზით მივდიოდი, ჩემი გზა მქონდა. იმიტომ კი არა, რომ ახირება იყო. უბრალოდ, როცა ახალს აკეთებ, ძველი შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ რასაც არ უნდა ქმნიდე, სინდისს ხომ არ კარგავ? როგორ შეიძლება რითმიან ლექსს დაუპირისპირდე?! ეს დაპირისპირება არცაა. ყველა სცენარი რევოლუციური გზით ხომ არ ვითარდება. პოეზია რევოლუციის გზით სვლა ხომ არაა?! რაღაც ახალს რომ გააკეთებს ადამიანი, მერე ამბობენ, რევოლუცია მოახდინაო, მაგრამ წერის დროს კაცი ამაზე ფიქრობს განა?! აკაკიმ იფიქრა, უცებ „საიდუმლო ბარათი“ რომ გამოაფრინა? „განთიადის“ წერისას კი ბევრად რთულ ვითარებაში გახლდათ. ყოველ სიტყვავზე პასუხისმგებელი იყო, რადგან იქ უკვე განათებული ჰქონდა გზა, ყველაფერი მაგრად იცოდა — საქმეც და თავისი თავიც.

უცნაურია, ხანდახან ისე უბრალოდ დაწერე კაცი, ერთ ამოსუნთქვაზე, უწვავლელად... თითქოს გაიქროლა რაღაცამ. არცა თვლის, რომ რამე გააკეთა, დანაშაული ჰგონია უწვავლელობა. იმიტომ, რომ სულ ჩასჩინებენ — „ხელოვანის თანამდევია შრომა, ტიტანური შრომა, ტანჯვის გზა“ და ასე შემდეგ. არადა, შეხედეთ ერთს, რომელი ჩიტი იტანჯება? უბრალო ლექსის გამოცდილება უფრო მარტივია, როგორც ჩიტი დაიჭიკჭიკოს, ისეა.

— თქვენმა პოეზიამ ახალ საუკუნეში ნელ-ნელა ფერი (ფორმაც) იცვალა და ვრცელ ტექსტებად მოგვევლინა, მაგრამ იმას, რასაც ბოლოდროინდელ წიგნებში წერთ, პროზას ვერ დაარქმევ. ესეც პოეზიაა.

— არავინ იცის, სად არის პოეზია, საიდან მოდის, საით მიდის, სად დგას. პოეზია არ არის საგანი. სივრცეში, სამყაროშია განფენილი. რაღაცები არის ჩვენ ირგვლივ პასლისთვის უხილავი, გონისმიერი და მადლიერი უნდა იყო, თუ იქიდან რაღაც მიიტაცე, წამოიღე. ისიც, ენის დახმარებით, კაცობრიობის დახმარებით, არქილოქეს, რუსთაველის, გურამიშვილის... ერთმანეთზე უკეთესი პოეტები არიან ისინი და ახალ ცოდნას სძენენ ადამიანს. გურამიშვილს ნაიკითხავ, სულ სხვა რამეს დაინახავ, რუსთაველს ნაიკითხავ — სხვას, ვაჟასთან — სხვა ცოდნა და ბარათაშვილთან — სხვა. სტუდენტები რომ ვიყავი, ყველას ეგონა, აკაკის ვაჟა მერჩია. ალბათ, იმიტომ, რომ თიანეთიდან ვიყავი. არადა, არ იყო ასე. თიანეთში, მკონი, მარტო მე ვუსმენდი გურულ სიმღერას. 14-15 წლისა დავიდგამდი რადიოს და საათობით ვიჯექი. რადიომ გამზარდა. სულ ზეპირად ვიცოდი ცნობილი მომღერლების რეპერტუარი. ოპერაც მიყვარდა. დავით გამრეკელის კონცერტები იმართებოდა თბილის-

ში. ისე მინდოდა მოსმენა, დედაჩემმა „დაჩნიკებს“ გამომაცოლა. მათთან ვცხოვრობდი. ოთხივე სპექტაკლს დავესწარი, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ერთი ეგ იყო, შთაბეჭდილებებს ვერ ვუზიარებდი ვერავის. მერე თიანეთში რომ დავბრუნდი, ბებოჩემს ვუყვებოდი ამბებს. ბებო იყო ჩემი მესაიდუმლე. მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა, ერთ ჯაჭვზე ვიყავით დაბმული.

პოეზიას და პროზას თუ დავუბრუნდებო, მე მაინც მგონია, რომ ჩვენში მძლავრობს პოეზიის შეგრძნება. ნიკოლორთიფანის მოთხრობები, მაგალითად, პოეზიაა, ლექსს გაცდენილება. ლექსს გაცდენილება თავის საუკეთესო ნაწარებში კონსტანტინე გამსახურდიაც. ჩემს ნაწარებს რაც შეეხება, მეტაპოეზია ვუნდო.

— „ბევრ ჟანრს გამოვივლოვებთ ცხოვრებაში, დარჩება მხოლოდ მეტაპოეზია და მეტაადამიანი“ — ამბობთ „მთავარ გამოამაშებელში.“ მაინც რა არის ეს მეტაპოეზია, რა ფენომენია?

— „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე წლების წინ ლექსი — „უსინდისობაა, როცა სანთელი უაზროდ იწვის.“ კაცზე ვწერ, რომელიც დროისგან უარყოფილია. დროისგან, წერის შეუსაბამობისგან. ტექსტებს ეძახის თავის ნაწარებს, რომლებიც არც ლექსებია, არც პროზა. „ტექსტი“ ამ მნიშვნელობით მანდ გამოვიყენე პირველად. მერე დამკვიდრდა ტერმინად. დღეს ყველაფერს ტექსტს ეძახიან. იქ არის მეტაპოეტურის ტრაქტატი, სადაც ვამბობ, რომ ლექსი გარკვეული კალაპოტი და ყალიბია. ნამდვილი ლექსი ლექსში ის არის, რაც ვერ მიიღწევა და ვერ გამოითქმება. „ამიტომაც თავის ლექსებს უწოდებდა ტექსტებს, ნაწარებს, მდგომარეობის ისეთ სახეს და ისეთ ფორმას, რაც განუწყვეტელ წინააღმდეგობებში და ცვლილებებში იმის სულს თან ამოჰყვებოდა: პოეტურობის ყოველგვარი იერარქიის, გამორჩევის, უკეთესის ძებნის გარეშე, როგორც მომღერალი და ბრბო — ერთ ჩარჩოში... რადგან, განა შესაძლოა, რომ შენს მიერ გაყვანილი კალაპოტისთვის მდინარის წყლიდან უკეთესი ნაკადები გამოარჩიო?“ დაახლოებით ეს არის მეტაპოეზია. 1991 წელს იყო ეს ამბავი და მანამდეც სადმე მექნებოდა მეტაპოეტურზე მინიშნება.

— იმ წლებში კიდევ ერთი თქვენი ლექსი დაინერა, რომელიც ეპოქის სიმბოლოდ იქცა — „სად არიან შვილები“ — დიდი ტრაგიზმითა და შინაგანი ტკივილებით სახვ. რა გახდა მისი შექმნის მიზეზი, რა ვაწუხებდათ?

— ის შავბნელი დრო, რომელმაც ბევრი რამე ნაგავრთვა. იცო, როგორ მეჯავრებოდა ის ქვეყანა, რომელიც ამ ბავშვებს, ბიჭებს და გოგოებს ასეთ დღეში ავადებდა?!

— თავისი ნაწარისადმი ირონიული დამოკიდებულება რამდენად არის მწერლისთვის თავდაცვა? „აიგდე ნაწარო“ — ამბობთ ერთგან. რას გულისხმობთ?

— ეს ავადება დიდი ხნის აჩემებული მაქვს. რომ ვუფიქრებდი, ლიტერატურული ქოვაკის საწინააღმდეგო რეაქციაა. ეს არის პასუხი ლიტერატურულ ქოვაკზე, რომელიც გიყვებს და შენ კი ვერ ხვდები,

რა უნდა. იმიტომ, რომ იცი, არაფერ შუაში არა ხარ, არავითარი ვაჭშირი არ გაქვს მასთან. „აიგდე ნაწარო“ მხატვრობაა, ერთგვარი თამაშია. თამაშში ჩართული სიტყვა დანაშაულად არ ითვლება. თამაში დანაშაული არაა, ამიტომ იქ რასაც ვიტყვი, არაფერი არ არის დანაშაული და წერაც თამაშის გარეშე როგორ იქნება?



— „ნაწერი დაფანტული გონების შემკრები კალოა, რატომ უნდა წაშალო რამე? თვითონ წაშლის წამკითხველი. რატომ უნდა გაასწორო? თვითონ გასწორდება, კალოს რომ აშლიანო“ — „დიდსმაში“ წერია. ამ წიგნში, ისევე, როგორც სხვა დანაწარებებში, არც ერთი ფრაზა არ არის შემთხვევითი. ხანგრძლივად ნაფიქრია ეს ყველაფერი? დიდხანს ფიქრობთ, ვიდრე აზრს ფურცელზე გადაიხატათ?

— ხომ ვთქვი, რომ მოფიქრება მიჭირს — ის, რაც თითქოს ადამიანისთვის ჩვეულებრივი ამბავია. როგორც ძალი მისდევს ყნოსვით კვალს, ისე მივყვები ფიქრებს. ფიქრი კი ხომ იცი, როგორია — ხანდახან ტელეგრაფივით მიჰქრის: ტრიალებს, ტრიალებს შეუჩერებლად. ძალიან სწრაფად თუ არ ჩავიწერე, ეგრევე გაიქროლებს, ვეღარ ვწვნივ. ნავა, გაქრება, ვერ დაიბრუნებ, ვერც უკან გადმოახვევ. ამიტომ ძალიან სახიფათო როლში ვარ. ჩემს თავს ხაფანგი დავუგე და ვეღარ ვიძვრენ. არადა, გარეთ გასვლა გინდა, სიცოცხლე გინდა, სიცოცხლე ხომ ყველაზე კარგია დედამიწაზე. ის კიდევ გადაგვიკიდება, დაგიჭერს და აღარ გიშვებს. სხვა რა დაგრჩენია, უნდა დაჯდე და წერო. არც ვცდილობ თავის არიდებას, მივეცემი მი ხოლმე და ვწერ, მაგრამ მარტო ჩაწერა არ კმარა — უნდა დაბეჭდო კიდევ. ხანდახან ნაფიქრალი ფურცლის ძებნაშიც იკარგება. იმის დროც არ არის, გაიქვე და მოიტანო. გაქცევა კი არა, ზოგჯერ წერწყვსაც ვერ ვყლაპავ, მაგრამ ვისწავლე და ფურცლებს ვყრი ხოლმე იმ სივრცეში, სადაც ხშირად ვარ.

— ახლა წერთ რამე ახალს? ხომ არ უნდა ველოდოთ პროზაულ ტექსტს ბესიკ ხარანაულისგან?

— არა, არ არის ეგ ჩემი საქმე. პროზას ვერ დავწერ. რასაც ვწერ, ესაა. რაც გინდა, დაარქვი. თეორიული გამართლება მერე ჩნდება ხოლმე. გახსოვს, ვაჟა რომ იცავდა თავს ენასთან დაკავშირებით? თავისი აზრებით მართალი იყო საკუთარ თავთან, მაგრამ „სცოდავდა“ ქართული სალიტერატურო ენის წინაშე. იმიტომ, რომ ენა ძლივსძლივობით იქმნებოდა იმ პერიოდში — ძლივს აღწევდა თავს ღვლარჭნილობას და ჩახლართულობას. სწორი მაშინ იქნებოდა, რომ ეთქვა — კი ვწერ ამ ათმარცვლიან ლექსს, მაგრამ არ გამომდის, ჩემი არ არის, ამიტომ მაცადეთ წერა ისე, როგორც შემიძლია. მეც ასე ვარ — ისე ვწერ, როგორც შემიძლია. ერთადერთი ნაკლი ჩემი ნაწარებისა ისაა, რომ ბევრი პოეზიაა. ბევრი პოეზია სიჭარბეა და სიჭარბე აფუჭებს მკითხველს, ადამიანს, მაგრამ რა გქნა — მე კიდევ უპოეზიოდ ყოფნა არ გამომდის, არ შემიძლია!

ესაუბრა ნანა კობაიძე





ძვენა დაბეჭდილი ფოტო გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსკენ უნდა იყოს გადაღებული; ფოტოზე: სხედან — მარჯვნივ მიხეილ ქვლივიძე, მარცხნივ სანდრო მათიაშვილი, დგანან — მარჯვნივ მამაჩემი, მხატვარ-კერამიკოსი ირაკლი ზაზანაშვილი, მარცხნივ — ზურა კვიციანიძე, ასევე კერამიკოსი... მეგობრები, „გადაბმული მეგობრები“: ამ დროს მიშა ქვლივიძე ჯერ ისევ მოსკოვში ცხოვრობდა და სულ უფრო ხშირად ჩამოდის თბილისში... და რა თქმა უნდა — იშლება სუფრა, ხან ჩვენს პატარა სახლში ვარანკოვზე, ხან რესტორანში, ხან სახინკლეთში, ხან სად და ხან სად... ამ სურათზეც ზომიერად ნასვამები ჩანან, თუმცა უზომოდ არ იყო მათთვის უცხო... მიშას ერთ-ერთი ლექსი გამახსენდა, რომელიც ასე მთავრდება: „და თუ ვინმე საოცნებოს / ვერ მიაღწევს სანადელს — / აგერ არი, ბატონებო, / სახინკლე და სამწვანდე.“

და ეს წერილი სწორედ ასეთ კაცზეა, სანადელს რომ ვერ მიაღწია, პოეტზე, რომელიც პოეტად აღიარებას ვერ ეღიბა, „გამქრალ“ პოეტზე — სანდრო მათიაშვილზე.

1990 წელს მიშამ, სანდროს გარდაცვალების შემდეგ, მისი ლექსების ორი პუბლიკაცია მოამზადა, რომლებიც „მნათობში“ და „განთიადში“ გამოქვეყნდა... ვეჭვობ, ეს სანდროს სრული დანატოვარი იყო: სანდრო მათიაშვილი — პროფესიით ფსიქიატრი — დიდად განათლებული (მაგალითად, მახსოვს, სულ ახალგაზრდამ პირველად მისგან გავიგე რაიმონ რადიგეს სახელი და ბევრი ასეთი), სიკეთით აღსავსე, კოლორიტული, მაგრამ უცნაური, მეტად ემოციური, ფეთქებადი კაცი იყო, უცოლშვილო, არავის იკარებდა — ცხოვრობდა მარტო, ნახევრად კომუნალურ ბინაში კოლმეურნეობის მოედანთან, წერდა და ინახავდა, იშვიათად სუფრასთან თუ წაიკითხავდა რამე ახალს... მაგრამ იმ წაკითხულიდან მე რომ ზოგიერთი სტრიქონი თუ გამოთქმა მახსოვს, ისინი მიშას მომზადებულ პუბლიკაციებში ვერ ვიპოვე: მიშას სანდროს ლექსები, სანდროს გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ, გადასცა მისმა დისშვილმა, რომელიც პოეზიით დაინტერესებული არასოდეს ყოფილა და ვინ იცის, როგორი ყურადღებით ინახავდა ბიძის ლექსებს...

ასეა თუ ისე, სულ ესაა, რაცა და კიდევ პირველი პუბლიკაცია — ოთხი ლექსი 1958 წლის „მნათობში“, რამდენიმე რუსულად ნათარგმნი — ლიტერატურულ ჟურნალ „მოსკვა“-ში და კიდევ ერთი-ორი — უნგრულად: და ეს ყველაფერი — მიშას ენთუზიაზმით.

აი, რას წერს მიხეილ ქვლივიძე სანდროს პუბლიკაციის შესავლად „განთიადში“: „სანდრო მათიაშვილი (1926-1984) პროფესიით ექიმი, ფსიქიატრი იყო — დიდად განათლებული კაცი. იგი შესანიშნავად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას, საქართველოს ისტორიას და მის კულტურას. ბავშვობიდან ლექსებს წერდა, მეგობრებს უკითხავდა და თავისი ლექსების გამოქვეყნებაზე იშვიათად უფიქრია. მხოლოდ ერთხელ... ეს იმ დროს მოხდა, როცა სიმონ ჩიქოვანი ჟურნალ „მნათობში“ რედაქტორობდა. მე მივეუბნე ბატონ სიმონს ჩემი მეგობრის ლექსები და ისინი ჟურნალში დაბეჭდა, მაგრამ, „იდეოლოგიური კომპიდანი“ უმაღლესი მარისხანე შეძახილი, ახალბედა ავტორს ბრალი დასდეს „უიდეობაში“, „კამერულობაში“, „ნატურალიზმში“ და თავმოყვარე კაცს სამუდამოდ — სიკვდილამდე! — დაუკარგეს ლექსის გამოქვეყნების სურვილი. თუმცა როგორც იტყვიან, „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“, იმ ლექსებმა მკითხველის დიდი მონონება დაიმსახურა. სანდრო მათიაშვილი 58 წელი იცოცხლა. იგი ჭეშმარიტი პოეტი იყო თავისი მონონებით. სამწუხაროდ, ეს კაცი ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ პოეტად აღიარებას ვერ ეღიბა. ნელს, ჟურნალმა „მნათობმა“ გამოაქვეყნა მისი ათობდე ლექსი გარდაცვალებიდან 5 წლისთავთან დაკავშირებით. წინამდებარე პუბლიკაცია ერთგვარად კიდევ შეავსებს სანდრო მათიაშვილის პოეტურ სახეს, რომელიც დავინწყებას არ იმსახურებს.“

მაინც რა იყო ასეთი „უიდეო“, „კამერული“, „ნატურალიზტი“ სანდრო მათიაშვილის იმ ავბედით პუბლიკაციაში?

დაინტერესებულმა მკითხველმა ეს პუბლიკაცია სრულად 1958 წლის „მნათობის“ მე-3 ნომერში შეიძლება ნახოს: ოთხივე ლექსის პოეტური სივრცე არავის ხეობა და ხეესურეთია — ეტყობა, იმოგზაურა იქ ავტორმა; თუმცა ისიცაა სავარაუდო, რომ ამ ლექსების იმპულსი გრიგოლ რობაქიძის „ენგადიდან“ მოდიოდა — სანდრო მათიაშვილი ხშირად ახსენებდა რობაქიძის ნაწარმოებებს და მათ მითოლოგიზებულ სამყაროს; და ისიცაა შესაძლებელი, რომ „იდეოლოგიურმა კომპიკმა“ იგრძნო ეს... ქვემოთ მომყავს პირველი ლექსი.

მახსოვს მანვლდი ნინანს, ღიმილით იდექ კარზე, ძუძუ გიგავდა ხინკალს, ვსრიპე და ვერღა გავძებ.

გასაგებია, რომ ეს „საბჭოთა ლექსი“ არ არის, მაგრამ არც ამკარად ანტისაბჭოთაა მასში რამე, თუმცა 1958-ში სტალინი ახალი გარდაცვლილია და იდეოლოგიური „კრიტიკის თვალი“ ჯერ ისევ მეტისმეტადაა გამახვილებული: ვფიქრობ, ეს ლექსები ხუთიოდე წლის შემდეგ რომ გამოქვეყნებულიყო, მათ ასეთი მძაფრი რეაქცია არ მოჰყვებოდა... და ესეც ბედი...!

საქართველო, სამშობლო და თბილის-ქალაქი — ამ ორ ხატს უტრიალვებს სანდროს წარმოსახვა და მის პოეტურ ენაში ხშირია ხალხური და ძველთბილისური ფიგურები, ერთ-ერთ ლექსს („აბანოში“) ასეთი ეპიგრაფი აქვს ნამძღვარებული: „შენ რა იცი, ძაღლო ქოსა, / რა ფასი აქვს აბანოსა“; ნავიკითხოთ ამ ლექსის რამდენიმე სტროფიც:

(...)
„შეეჭამე თქვენების სიტყვა და კანონი!“ —
ბლავის ბანჯგვლიანი შოფერი ვანუა...
მექისეს ბევრი აქვს ტარო და საპონი,
მაგრამ ამ ვანუებს ოხტში ვერ აუვა.

და უკვირს, ხეხვით რომ არ გასძვრა სიქა,
ხუმრობა არ არის ხედავდეს ეხლაც,
რომ ამდენ ტურტლიან გაქონილ სიფათს
აბანო კი არა, მტკვარიც ვერ გარეცხავს.

(...)
მთვარე საპონივით წყალში ილეოდა,
და თითქოს ის ღამეც სკდებოდა ბუშტივით,
გარეთ კი ატენის ღვინო ილეოდა
და იდგა მეტეხი ერეკლეს მუშტივით.
(...)

და კიდევ ქრისტე... სანდრო მათიაშვილი თითქოს არ იყო ეკლესიური — მიხეილ ქვლივიძე სანდროსადმი მიძღვნილ სონეტში წერს: „შენთვის ერთია — იელოვა, ქრისტე, ალაჰი — / ციურ მნათობებს, ვით წარმართი, უცქერი ნდომით, / მაგრამ მამინ ხარ ჭეშმარიტად ვაჟკაცი, ლომი, / როცა კახეთი გახსენდება და კარდანახი...“

ამ დროს კი სანდრო წერდა: (...) პანტიანი, პანტიანი, პანტიანი, / რაც რომ მქონდა, სუყველა გზა შემოკარი, / რომ იცოდე, რა უღმერთოდ გავტიალდი, / რომ იცოდე, რა უცვრად შემოყვარდი! // შენს საწყისთან მე აქ ისე ახლო ვარ, რომ / ფეხქვეშ მინა ციბრუტივით დატრიალდა; / შენ ჩვენში ხარ, ჩვენ შენში ვართ, მაცხოვარო, / და შენს იქით ყველაფერი გატიალდა. (...) ჩვენ დავეცი, — ჭორია თუ სიმართლეა, — / და ახია თავზე რასაც გვაყრიან; / დაგავინყდათ? — ჩვენი ხატი სიმალღა / და სახატე — ჩვენი მთების მაყრიონი. (...)

და, რაღა თქმა უნდა, სევდა და სინანული: „მე ოცნება ბავშვობიდან დამყვა, / სინანული და ოცნება მარტო, / ცაში ნაბადს დავიგებდი ალბათ, / ამ მინაზე ვინდა ჩამომავდო?“ ან:

მე უნდა სხვა დროს მეცხოვრა ალბათ,
ვინ მომცა ირმის საწყალი თვალი...
ეჰ, სხვისი არის მალაღი პალმა,
ეჰ, სხვისი არის ღამაზე ქალი.

მიხეილ ქვლივიძე წერს ზემოთ მოყვანილ შესავალში — სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და სანდრო მათიაშვილის პოეტური სახე დავინწყებას არ იმსახურებსო, მაგრამ ეს მხოლოდ მეგობრის შეფასებაა, სურვილია, იმედი... ხოლო ფაქტი ისაა, რომ სანდრო მათიაშვილი არავის ახსოვს... ის კი არაა, ვინ იცის, რა დღეშია მისი საფლავი ახალ კუკიაზე. ისიც ვიცი, რომ ეს წერილი არ უშველის მის „დაბრუნებას“: ის ოციოდე ლექსი, რაც შემოგვრჩა, ალბათ, საკმარისი არ არის ამისათვის...

მაშ, რისთვის დაინერა ეს წერილი?.. შესაძლოა, აი, ამის სათქმელად: ალბათ მთლად სპონტანურად არ გაახსენდა-მეთქი სანდრო მათიაშვილს ბარათაშვილი... ბარათაშვილიც შეიძლება ქვეულიყო „გამქრალ პოეტად“... ნიკო სამადაშვილიც, შოთა ჩანტლადეც... ესენი „გადარჩენენ“, მაგრამ ვინ უწყის — რამდენი სანდრო მათიაშვილივით ნიჭიერი, კარგი პოეტი გაქრა უკვალოდ, გაქრა ისე, რომ ვერ შემოაღწია ქართულ ლიტერატურულ სივრცეში... არადა, აბა, წარმოვიდგინოთ — ესენი რომ ყოფილიყვნენ იმათ ადგილას, ვინც მე-20 საუკუნეში ათწლეულების მანძილზე ანაგვიანებდა ქართულ პოეტურ ველს... მე მგონი, მამინ ახლგაზრდებისათვის (და არა მხოლოდ მათთვის) კარგისა და ცუდის გარჩევის უფრო მკაფიო ორიენტირები იარსებებდა და დღევანდელი ველიც გაცილებით უფრო სუფთა იქნებოდა...

ნუგზარ ზაზანაშვილი **გამქრალი პოეტი**



შატლის ღამე

ანთებულ ნახშირს ჰგავდა შატლის ნახული სახლი, თოფი რად გამოვარდა, რაზე დაეფარებოდა ქალი!

სად არის ქმარი შენი, კბილმა საკბილო ნახოს, ნანალი იყავ ჩემი, მენაც ღვიძლივით ახლო.

ესეც გხატავდი დიდხანს, მერე ლოგინზე დავნექ, ძუძუ გიგავდა ხინკალს, ვსრიპე და ვერღა გავძებ.

ნეტამც დამეგლო შარა და მოვსულიყავ ადრე, ცას სუფრა გავშალა და აზარფეშად მთვარე.

აკიც წამადგა ქმარი, წვერი დამადო ახლოს; — ერთიც მოვსინჯოთ მკლავი, — კბილმაც საკბილო ნახოს.

მერე კისერში მომკრა, ბოლი მადინა თვალზე, სისხლმა შეღება ლოყა, ზედ სოკოები დასხდენ.

იტყვიან, მოკვდა ჟინით, ბანს გასძახებენ კლდენი, გაღმა გადიდა ჯიხვი, შატლის წამწამი შენი.

ვერ მოვკლა შენი ხსოვნა, ვერ ვნახო შენზე მეტი, შავებით ნულარ მოხვალ, დალაის ნურცა მეტყვი.

მახსოვს სანდრო მათიაშვილის მსჯელობა მეტაფორის შესახებ: მას არ უყვარდა ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური, განყენებული ტროპები და არც ის პოეტები უყვარდა, ვისთანაც ასეთი მეტაფორული აზროვნება ჭარბობს; მას უყვარდა ბუნებრივი, სიცოცხლიდან აღებული, ცოცხალი და მოულოდნელი სახეები, მეტაფორები, პოეტური ფიგურები, აი, ასეთი: *პეშვით შენს ღიმილს მოვსვამ / შენი ტუჩების წყაროდან, / გიცდი ვით დილის მოსვლას, / გიცდი ვით წვიმა წამოვა.* ეს ზემოთ მოყვანილ ლექსშიც მკაფიოდ ჩანს და ამ თვალსაზრისით სანდრო მათიაშვილი თითქოს გიორგი ლეონიძის პოეტურ გზას აგრძელებდა.

ასეთი პოზიცია მას დაუფარავდაც აქვს პოეტურად გამოთქმული — აი, სტრიქონები, მისი პასუხიდან მიხეილ ქვლივიძის შესანიშნავ ლექსზე „ხელოსნის მონოლოგი“ (ბოლო რედაქციით — „ჩემი ხელობა“), სადაც ქვლივიძე ამბობს, რომ პოეტი „ნებოა“ („ბევრი მაქვს ნებო და... / ნებო ვარ თვითონ. // ვანებებ დახეულ საბუთებს, მანდატებს, / გატეხილ პირობებს, დარღვეულ ადათებს“ და ა.შ.).

სანდრო მათიაშვილი წერს: *ლექსს უნდა კაცი და არა „ნებო“, / ლექსს უნდა ღვინო და არა ძმარი, / მაინც და მაინც რა უნდა სწერო, / რა უნდა სწერო მაინც და მაინც. (...)* / *ლექსს უნდა ქონდეს ნადავლის გემო, / ცნოსვა და სმენა დაჭრილ ფოცხვერის, / რომ ყოველ ნუთში მთა ააფეთქო / ლექსით და არა წიგნით, მოძღვრებით. // არც განთიადი ლექსის ქამარით, / არც შეღამება მთების ნახშირით; / იცოდე, არის ქვეყნად ქალაქი, / სადაც ცხოვრობდა ბარათაშვილი. (...)*

და ალბათ მთლად სპონტანურად არ ახსენდება სანდრო მათიაშვილს ბარათაშვილი... ამაზე სულ ბოლოს ვიტყვი მოკლედ...



მიხო მოსულიშვილი

გზისა და მოგზაურისა

დაუნასავი დანახვისათვის

ირმა შიოლაშვილი, იოახიმ ბრიტცეს

მაქვს ერთი ძველი მინიატურა, სახელად „რა მაკავშირებს იაპონიასთან“ და იქიდან ერთი ეპიზოდი ასეთია: „სტუდენტობიდან, ესე იგი, თითქმის ოცი წელიწადია ლამის ყოველ საღამოს ვკითხულობ კლასიკური იაპონური ტანკას კრებულს სახელწოდებით „ასი პოეტის ასი ლექსი“ 1235 წელს რომ შეუდგენია ფუძივარა-ნო ტეიკას; ასევე ჰაიკუებს თუ ჰოკუებს; თანაც დიდხანს ვაკვირდები ხოლმე იაპონურ ნახატებს — ანუ მე ვცდილობ, ძენ-ბუდისტური „სატორის“ მცნება ჩემი მწერლური ტექნიკის მონაპოვრად ვაქციო — ესაა ხანგრძლივი ჭვრეტა გამო-სახატავი საგნისა თუ მოვლენისა; და მოლოდინი „შინა-განი განათებისა“, როცა სიღრმისეულად, თავის არსში დაინახავ შენთვის საინტერესო მოვლენას. ასეთ შემთხვევაში ამბავი, რომელსაც ჰყვები, უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე შენ გგონია. ეს არის ხერხი ისეთი იდუმალი ქარების დასაქვრად შენს ნაწარმოებში, რომლის შესახებ შეიძლება თავადაც არ იცოდეს ბოლომდე“.

ეს ერთის მხრივ და... მეორე მხრივ, ამ მინიატურების წერის ტექნიკაზე სრულყოფილი ნათქვამი არ გამომივა, თუ იმასაც არ აღვნიშნავ, რომ ესაა ცდა, ჩემებურად გამოვიყენო ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიურ-ლირიკული მინიატურების („მთანი მალანი“, „ია“, „ხმელი ნიფელი“, „ქუჩი“, „ფესვები“ და ასე შემდეგ) წერის ტექნიკა, ანუ ისეთი თხრობა, სადაც სიტყვა კი არა, ერთი მძიმეც კი არ არის ზედმეტი — პირდაპირ მოვლენის არსია დაჭერილი...

ეგრე წერა ლექსის წერას ემგვანება და, მართლაც, ამ მინიატურებს ბევრი რამე აქვთ საერთო პოეზიასთან, რომელიც მხოლოდ გართიმულ სიტყვებში არ არის, ყველგანაა და მე სწორედ პოეზიის დანახვას ვცდილობ დაუნახავში.

თუკი ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველადან მოდიხარ და მეორე მხრივ, იაპონური ძენ-ბუდისტური ტექნიკიდან, შენი რაღააო, ასეთი კითხვაც გაჩნდება.

ჩემი ისაა, რითაც ეს მინიატურები, მათში გადმოცემული მოვლენები ისე აღიქმება, როგორც „მოკლე ჩანაწერები დიდი კინოსთვის“, ანუ ამბავი იქნება თუ ხასიათი, კინოს ხედვის ხერხებით არის ხოლმე გაცოცხლებული ამ მინიატურებში.

აი, ის სამი საყრდენი, რითაც იქმნება ხოლმე ასეთი ჩანაწერები და...

ადვილი არაა ეგრე წერა: ხშირად წლობით მაქვს გადადებული რამე ამბავი ან ხასიათი და სანამ შიგნიდან არ განათდება, არაფერს ვწერ...

აი, როგორც საფარში ჩამჯდარი მონადირე ელოდება ხოლმე ნადირს, ისე ველოდები ნამდვილი მინიატურის მოსვლას...

მე მჯერა, რომ მარტო ეგრე უნდა ვინადირო, სხვანაირად, ცხოვლების დახოცვით — არა, თუკი ფოტო და ვიდეოგადაღებას გამოვირცხავთ და...

ზოგს იქნებ გაეცინოს, ნეტარ არიან ამისთანა მომლოდინეო...

ალბათ, ვარ კიდევ...

„ჯინო“ — დიდი ამავენი პატარა სამყაროდან

„ჯინო“ — ესაა მხატვრისა და კინორეჟისორის, დათო კიკნაველიძისა და მისი ჯგუფის მიერ გემოვნებიანი იუმორითა და დახვეწილი დიზაინით შესრულებული, CGI (3D) ანიმაციური ფილმი, ხანგრძლივობით თორმეტი წუთი, როგორც დიდებისთვის, ასევე პატარებისათვის, რომლის შექმნა The Walt Disney Studios ტიპის დიდ სტუდიებს თუ ხელეწიფებათ ხოლმე და რომელიც ბუნების გადარჩენაზეა, რისთვისაც პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება აუცილებლად შერიგებით და თანადგომით უნდა შეიცვალოს.

დიდი გომბეშო, სახელად ჯინო, ცდილობს პრობლემებს დაემალოს, მაგრამ ისინი არა ქრებიან. პატარა ტბის ირგვლივ, სადაც ბევრი სხვადასხვა არსება ცხოვრობს,

დიდი მშენებლობა მიმდინარეობს. წყალი თანდათან შრება და პატარა ტბის მცხოვრებნი უნდა წავიდნენ ცენტრისკენ, გომბეშო ჯინოს სახლის მახლობლად. ჯინოს არ უნდა, ადვილი დაუთმოს ვინმეს, ამიტომ მეგობრებისა და მეზობლებისგან თავს იცავს ბოთლის საცობების სასროლი ტყვიამფრქვევით... თუმცა ჯინო მალე გაიგებს, რომ ძირითადი ფასეულობა მხოლოდ მხარდამხარ დგომით შეიძლება გადაარჩინო.

დათო კიკნაველიძე მხატვარი ხომ არის და კინოსაც ზუსტად გრძნობს, რაც იშვიათობაა ხოლმე და თუ ერთის მხრივ, დიდ ნარმატებებს ველოდები ამ ფილმიდან, მეორე მხრივ, ყველას უნდა ვუთხრა, რომ ამნაირ რეჟისორს მხარი უნდა დაუჭიროთ...

სანამ ახალი უჩრულები და უსპარულები გამოჩნდებოდნენ...

ეგეთ უმძიმეს კრიზისში, როცა ათასნაირი უჩრულები ჩასანთქმელად მომდევს, მე კიდევ უფსკრულში ვვარდები და ველარაფერს ვწერ, ხშირად ვყოფილვარ ხოლმე და ამ შემოდგომაზეც იგივე გამიმეორდა.

სიტყვას ველარ ვწერ და სულ შევარჩე, თუ რამ გასაკეთებელი მქონდა კინოში...

და მარტო კინოში არა...

ვარ ამ ამბავში და თან ვფიქრობ, რომ ეს ვარდნა და უჩრულები რომ მორჩეს, უფრო ძლიერად უნდა მომხვედეს...

ჩუბშიც ეგრეა, ვისაც გამოუცდია — დაგინიავებენ, დაგაგდებენ და ნიხლებით შედგომას რომ დაგიპირებენ, მერეღა დგები...

ჰოდა, მოკლედ, რა მკლავს-მეთქი, რა მკლავს და...

მე მთელი ცხოვრება ერთი ქვის ქოხიდან გამოვდივარ თექვსმეტი პარტიზანის გადასარჩენად, მე მეთაური არა ვარ, მაგრამ მაინც გამოვდივარ, რაკი მტერი მეთაურს ითხოვს დანარჩენების გადარჩენის პირობით — მეთაური მე ვარ-მეთქი, ვამბობ და, რაკი ტყვეობას ისევ თავის განირვან მიჩვენია, შევძახებ — „გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ მერე ნიკაპქვეშ, ყელზე მივიდებ „ვალტერ-38“-ის ლულას და სასხლეტს ფეხს გამოვუშლი ხოლმე.

ამდენი წელია ეგრე ვკვდები ყოველდღე და აი, ეს მომარჩენს იმ უჩრულებისგან და უფსკრულში ვარდნიასგან-მეთქი...

დავჯექი და თეატრის რეჟისორ ირაკლი გოგიას მიერ ჯერ კიდევ მაისის ბოლოდან ნათხოვნი პიესის წერა განვაგრძე ფორე მოსულიშვილზე... რაღაცა კი მქონდა მოხაზული, მაგრამ ის ჯერ არც არაფერი იყო...

თან, როგორც წესი, ვხატავდი პერსონაჟებს...

მე ვხატავ ხოლმე რამეებს, როცა ვწერ, რომ ვიზუალურად დავინახო სათქმელი — ისე არაფერი გამომდის...

ჰოდა, დღეს დავამთერე, პირველი დრაფტი დადებულა უკვე და...

ფუფურებ ფოტოში დახატულებს ამ პიესისთვის, თანაც დანიური ფსიქოდელოური ჯგუფის The Savage Rose-ისა და მისი ვოკალისტის, ანისეტ კოპელის სიმღერას „ბელა ჩაოს“ ვუსმენ ისევ — ეს სიმღერა ძალიან მშველოდა მუშაობისას, რაკი მუსიკის გარემოცვებ ვწერ ვერაფერს...


ვიცი, რომ ამ დანერგულ რაღაც-რაღაცებში კიდევ შეიცვლება, მაგრამ რაც მთავარია, პიესა უკვე არის...

და უფსკრული და უჩრულები აღარ არიან, მგონი...

დიდი მადლობა რეჟისორ ირაკლი გოგიას, ფორეზე პიესა რომ მითხრა...

დიდი მადლობა თაბუკაშვილებს — ბატონ რეზოს, ლაშას, მედეას, რეზიკოს, ბატონი რეზო თაბუკაშვილის წიგნისა და ფორე მოსულიშვილზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ალპური ვარსკვლავის“ ჩუქებისათვის — უმადგათოდ ხომ კაი საქმეები ძნელად თუ კეთდება ჩვენში...

ასევე დიდი მადლობა ნუნუ გელაძეს, ლაგო მაჯორეს ტბის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ბელჯირატედან (ამ ქალაქში არის ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი) რამდენიმე საინტერესო და საჭირო ცნობის მოწოდებისათვის...



რობერტ ვინონენი — რუსულენოვანი ფინელი პოეტი — დაიბადა 1939 წელს. ბატონი რობერტი ქართველების სიძეა — მისი მეუღლე გახლავთ ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, ქალბატონი ლიანა ელიავა.

რობერტ ვინონენი

ტირა

ბებერი მზად ვარ გადვიქცე ტირედ, რომელიც იყო ოდესღაც დირე, რომელშიც, ჩქამით, ჩატენეს ჟამი, რომ გამხდარიყო მანძილი მცირე...

ადრე დაღვდენ ცხოვრების ტკივილს, დღეს მას კუმშვენ ციფრები ცივი... და ტყვიის ნაწერს ჰგავს ტირე ქვაზე, ორ თარიღს შორის და ტირის, ტირის...

მეზა მუტი

აგე პეპელა ყვავილს დაჭრენს თავს და ჟინიანს იცდენს კოკორი — მისი ჩრდილის შიშიც ანაზებს... მაგრამ ამ ნორჩებს ოდნავადაც არ ეშინიათ ჩემი ყოფნის და არსებობის ამ ქვეყანაზე.

პეპელას უნდა, რომ ყვავილის სურნელით დატკბეს. მოვწყვეტიდი ყვავილს —

ვინ მოიცლის მისი დაცვისთვის! მაგრამ ძალიან უფრთხილდება მინიერ მათ ბედს ჩემში მალალი, ღვთაებრივი ჩემი საწყისი...

უსპარულის გაღმა-გამოდმა

მთა მთას არ ხვდება არსად, მაგრამ, ხანდახან, ჩვენი მთა ლაპარაკობს მთასთან, არნივის გადაფრენით...

აი, ეს არის სწორედ ბასი ამაყ მთების... ჩვენც, მთები არ ვართ, თორემ ერთმანეთს ველარ ვხვდებით.

მოდი, მშობლიურ სივრცეს მოვფინოთ მზერა შევბად და მთათა ძირებს მივსცეთ უფსკრულში შერთვის ნება...

ჩვენ გახარებას ვერ ვყოფთ, დარდი გვაყრია თავზე, განშორება კი გვერგო განუყრელობით საცხე.





გამომცემლობა „ინტელექტი“ გამოსაცემად ამზადებს ფედერიკო გარსია ლორკას „ბოშურ რომანსეროს“, თარგმნილს დავით წერეთლის მიერ. ლექსების ეს პატარა კრებული ლორკას პოეტური შემოქმედების მწვერვალად არის მიჩნეული. გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს ამ წიგნიდან.

ფედერიკო გარსია ლორკა

სომანაგულური რომანსი

მწვანე მომნატრდები, მწვანე. მწვანე ტვერი და მწვანე ქარი. მთის მხრიდან — ცხენი ნაგზაური, ზღვის მხრიდან — თეთრი იალქანი. დგას ქალი წელამდე ბნელში, ბანზე დგას, მიმქრალა სხივი. მწვანეა თმაცა და ტანიც, თვალელები ვერცხლია ცივი. მწვანე მომნატრდები, მწვანე. საგნების ავლია მზერა. ბოშური მთვარის ქვეშ მდგარი ხედავს და ვერ ხედავს ვერას.

*

მწვანე მომნატრდები, მწვანე. შემოდის რიჟრაჟი დილის, ჩრდილის მოუძღვება თევზი და დიდი მთიები თრთოვლის. ლეღვისხე მისსავე ნიავს ტოტების ხაოთი ხეხავს. ბექი, აფოფრილი კატა, აიშლის აგავის ეკალს. ვინ მოვა? საიდან? როდის? ბანზე დგას რამდენი ხანი! მწარეა ზღვის წყალი სიზმრად, მწვანეა თმაცა და ტანიც.

*

— ცხენში გამიცვალე, ნათლი, სახლის მისეული თვალი, ცხენის მოსართავში — სარკე, ბებუთში — ნაქარგი ხალი, მთის მხრიდან, კაბრიდან, მოვალ, თან სისხლის მომყვება კვალ. — ჩემზე ყოფილიყო, ვაჟო, გარიგდებოდა დანარჩენი, მაგრამ მე უკვე აღარ მე ვარ და სახლი ჩემი — აღარ ჩემი. — კაცური სიკვდილი მინდა, სამყოფი სუფთად შერჩეული, რკინის სანოლი და, ვინძლო, ჰოლანდიური თეთრეული. ჭრილობას შეხედე ლიას, მკერდიდან ხორხამდე ამდის. — შენი გულისპირი თეთრი შემკულა სამასი ვარდით, წელზემთი სისხლით ხარ სველი, ვერ გადარჩები — გადარჩები — მაგრამ მე უკვე აღარ მე ვარ და სახლი ჩემი — აღარ ჩემი. — იქ, მაღლა ამიშვით მაშინ, მაღალზე ამიშვით ბანზე! მთვარის რიკულებთან ვიდგე მწვანედ მოხასხასე ბანზე! ხმაურით ბრუნავდეს წყალი, ღამეულ ზვირთებში მბანდეს!

*

მაღლისკენ დაიძრნენ ორნი, ნაბიჯით წელით და ძნელით. სისხლის მიჰყვებოდათ კვალი, კვალი მიჰყვებოდათ ცრემლის. თუნუქის ფარნების წყება უაზროდ იწყებდა ილაჯს. გარს მინის დაირას ათასს წკრიალით მოამსხვრევს დილა.

*
მწვანე მომნატრდები, მწვანე. ბანზე გადმომდგარან ორნი. მწვანეა ქარიც და ტვერიც, ფოთლებში ზღვა ისმის შორი. რეჰანის, პიტნის და ნალვლის გემო ამოჰქონდათ ქარებს. — ასული სად არის, ნათლი, ის შენი ასული მწარე? — ლოდინში ჩამოდნა, ვაჟო, ამოდ გიცდიდა ამდენს! შავი თმა, ფერსავსე სახე, დღედაღამ ლოდინი ბანზე!

*

ბოშაქალს ჩამხერენ ტბორში, ქალსა და ჭაელებს ლივლივს. მწვანეა თმაცა და ტანიც, თვალელები ვერცხლია ცივი. მთვარეს არ ეჭიროს მაღლით, ფსკერზე ჩაიტანდა წყალი. იდგა მოალერსე ღამე, ღამის შუკასავით წყნარი, როდესაც ბრახუნით შეძრეს შემთვრალმა ჩაფრებმა კარი. მწვანე მომნატრდები, მწვანე. მწვანე ქარი და მწვანე ტვერი. თეთრონი, მთიდან მომავალი, აფრები, ზღვიდან მონაბერი.

ბოშა მონაზონი

სიჩუმე კირის და მირტის. გარს მოლი ავლია ბალბას. ჩალისფერ ქსოვილზე ხელი ლეკვიოინებს ქარგავს. ობობას მიმალულ ქსელში თრთის შვიდი ფრინველი პრიზმის. საყდარი დათვას ჰგავს შორით, და შორი ბურდღუნიც ისმის. რა სუფთად, ნატიფად ქარგავს! გარშემო რა ნაყმებს აყრის! გამოჰყავს ჩალისფერ მოვზე ყვავილი თავისი ნატვრის. მზესუმზირებს და მაგნოლიებს, კილიტებს რაგვარს და რაფერს, ზაფრანებს, მთვარეებს, ყაითნებს წმინდა დაფარნაზე აფენს. ხუთი თურინჯი დაშაქრული, სამზადში სინზე დაკრებილი, ხუთი წყლულია მაცხოვრისა, ალმერიაში დაკრეფილი. თვალთაგან მხედარი ორი მიქრის და ქარდაქარ ფრთონავს, და უკანასკნელი ჩქამი გაუწყვეტს პერანგის ზონარს. შორეულ მთებსა და ღრუბლებს, გასცქერის უფსკრულზე დახრილს და ნელა იმსხვრევა გული, გული ვერბენის და შაქრის. ოცი მზე შრიალებს ველზე, დაკბილულ აღმართზე მცინარებს. შემართულ მდინარეს ხედავს, ნატვრით გამოხმობილ მდინარეს. ისევ დაეწვდება საქარგს, ქარი კი თანდათან ჩადგა და სარკმლის ზემოდან სხივი თამაშობს გისოსთა ჭადრაკს.

სხვისი ცოლი

...და ადგილს ჩავედით ნარიყალს. მეგონა, საბედო ვნახე, არადა, მას თურმე ქმარი ჰყავს.

იდგა სანტ-იაგოს ღამე. რაც მითხრა, მითხრა და ვენდე. ფარნები ერთბაშად ჩაქრნენ, მხოლოდ ჭრიჭინები ენთნენ. ძუძუებს შევეხე მძინარს, ვიდრე მოსახვევს ჩავილევდით, და წყვილი ფეთქვით გადამეხსნა ხელქვეშ სუმბულთა ყვავილედი. გახამებული შიდაკაბის ისეთი ტკარცალი ამყვა, დანამ რომ დასეროს ათმა ფარჩა-აბრეშუმის ქამბა. მაღლა აზრდილიყო ბნელში ვარჯების უმთვარო წყება და ბინდი ეფარა შორეთს, წყალგაღმა ძალღებად მყეფარს.

*

როგორც კი მაცვლოვანს გავცდით, ჩათავდა ლელიც და ნარიც, სილაში მოვთხარე ღრმული, ჩავწურე მისი თმის ღვარი. მე ყელსაკრავი შემოვიხსენ. მან აკაზმულობა მთელი. მე ქამარი და რევილვერი. მან ოთხი კორსაჟი ჭრელი. მისი ვერც ინატრონ კანი ნიჟარის ყელმა და ნარდებმა, მთვარე რომ მინაზე დაკრთის, ასეთი ბრკიალი არ დგება. ჰგავდა თეძოების სხლტომა კალმახის ასხლეტას წყლიდან. ნახევრად აღმური მედო, ნახევრად ყინვისგან მცრიდა. გზათაგან უებრო გზაზე ფაშატი ამბრის და ბროლის ბნელდაბნელ ვაგელვე იმღამ უუზანგ-ულაგმო სრბოლით. რაც მაშინ ცხელ გულზე მითხრა, არ ვამხელ, კაცი ვარ ქვეყნად, და ჩემი კაცური ფიქრი მიკრძალავს მაგ ამბით კვეხნას. თან ნამოიყოლა მერე კვალი სილისა და კოცნის. გზაგასწვრივ რიჟრაჟის ქართან ომობდნენ დაშნები სოსნის.

*

რაც რა ვარ, ბოშა ვარ ნამდვილი, ზარდახმა მივეცი საჩუქრად, ლუსკუმა ნემს-ყაისნალებით, და აღარც მინახავს მასუკან, რადგანაც მეუხთლა იმ ღამით, ადგილს რომ ჩამყავდა ნარიყალს, საბედოდ მაჩვენა თავი, დამალა, რომ თურმე ქმარი ჰყავს.

ესპანურიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა





ათეულობით სქოლიოს აკი მეც ვიყენებ ჩემს საქმეებში აქვე ჰკიდია ჩემი მხრებიც ქალაქებში ჩაკერებული და საბოლოო გასაჩივრებას ელოდებიან.

კერსტინ ჰენზელი

ოფალია როლს ტოვებს

დასრულდა ხეტიალი მან კაბა გაიხადა დღესასწაულობენ მდინარის ქაფქაფა ნაპირთან ნიშნები მიწის ავსულები და კლაკიორები სევედის ქალბატონის მაგრამ ის როლს ტოვებს — აღარც კაბა უნდა და თავიც ამოსწია წყლიდან თმაში რომ წავეებმა დაიბუდეს და ის ოფელია სულაც არ ბრძანდება უნაკლო არსება ის აღარც მღერის და აღარც იხრჩობა თავის გზას გაუდგა იმ ხაფანგისაკენ რაც ენატრებოდა ჭკუიდან შემცდარი დაღლილი დაცლილი სწორედაც რომ ასე ის ბედნიერია

ნახევარგზაზე

ლიტერატურული სალონი

როგორც სანიშნი გადაშლის დიდ წიგნს, ისე ფურცლავდა ფენოვან ცომს საპატო პუბლიკა ირგვლივ ერთმანეთის მიყოლებით გაისმოდა წკარუნ-წკარუნი და ყველაფერი საუკეთესო კარაქის იყო.

მოგვიანებით დიასახლისმა ტანთ მოიცვა წყვილი რითმები ხალიჩაზე ხობები რბოდნენ, პრესისაგან არ იყო ტევა, ხოლო მთვარე კი, ღირიული, მიიწვედა ზევით და ზევით

საჩემო ფარდა

ჩემს სატკივარს კიდევ ერთხელ დავადებ სალბუნს სიზმრები გვერდით ფუთფუთებენ დაჩრჩილულ ქურქში

ღვინის მწრუპავიც მონოდების სიმალღეზეა სახლს კი ვერც ახლა ვერ დავტოვებ იმიტომ არა რომ გარშემო ისე მიცქერენ როგორც იმ დიდი დეფიციტის დროს ხახვით მოვაჭრე გვთავაზობს ნითელ და თეთრ ხახვებს ნულად გვირგვინად

და სატირლადაც

ჯუჯები და გომბეშოები კართან მელიან ყიდიან წამალს ლოცვის წიგნებს ტელევიზიის ანძის ზარები ჩამოჰკრავენ თავდადების მარშს

ნაგვის გატანაც რელიგია გახდება მალე

ფარდის უკან ვარ ატუზული ფანჯარასთან ოთახს შევყურებ

ოღონდაც მოდი

ჩემთვის ღმერთი არ მოუციათ

ჩემთვის ლოცვები არ წაუკითხავთ ჩემთვის სინათლე არ აუნთიათ ჩემთვის უფლისწული არ ურგუნებიათ.

ჩემს სიყვარულთან მაიმუნები უვლიან დავლურს

ჩემ წილად გმირი არ დაბადებულა ჩემ წილად სასახლე არ აშენებულა ჩემ წილად არაფერი თქმულა არც ჯილდო არც დანაშაული მითხრეს: იყოს ეს როგორც არის ისევე ისე.

მაგრამ მე როგორ უნდა ვიყო, ეს აღარ ვიცი

თანამედროვე გერმანული პოეზიის ამ სამ წარმომადგენელს საერთო ალბათ ის აქვს, რომ თამამად ეპყრობა სალექსო ფორმას, ენობრივ ექსპერიმენტებს არ გაუბრუნებს და სამივე ქალია. შეიძლება ითქვას, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ეს გერმანული ლირიკის ტენდენციაა, რომელიც ყოველ თაობაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება. კერსტინ ჰენზელის, ნენსი ჰიუნგერისა და ოზლემ ოზგულ დუნდარის პოეზიის ადრესატი ხშირად თავად პოეზიაა, ასევე ხშირად წერენ ისინი ლექსებს ლექსებზე, როგორც მათი რეალობის განმსაზღვრელსა და სიცოცხლის წარმართველზე.

მთარგმნელი

შიდა კიბის საფეხურები გამუდმებით მიმეორებენ ლექსებს, არ კმარა ჩემი სიმძიმე, ისინი რომ ააჭრიალოს. და ვრჩები, და ვაშლს ვიღებ ხელში

იმ პირობით, რომ ფრთხილად მოვიქცე.

ზოგ ადგილას სიმსუპუპე სჭირდება ენას

როცა ამბობენ სახლი ხე ანდა ქვა ხის მასალა გულისხმობენ რასაც ამბობენ ქვას და მასალას და სრულიად საკმარისია ამ უბრალო საგნებისთვის რაღაცას ზოგჯერ

დიალექტური ფორმებითაც ასახელებენ ამბობენ ნაღი შორს დაბრუნდი საზღვართან სადაც ზეცა მიწას განეფინება სადაც სახლებს აშენებენ ერთ სართულად და უბრალო მასალისაგან ლექსებსაც უნდათ თავისი ხე-ქვა მაგრამ არა სამარადჟამოდ მათ საშენებლად მტვერიც იკმარებს ის ფრიალებს და დააქროლებს მსუბუქ რამეებს მე ვერ ვიპოვე მე ვამბობ ხეს და მაქვს ფოთლები და ტოტები და ტანი და ფესვი ხე ჯერაც არ მაქვს მხოლოდ მოარული ხმები მაქვს მასზე რომელიც ხე კი არ არის არა მოარული ხმებია მხოლოდ ვეუბნები პოეტებს ამას თვითონაც რომ მოარული ხმები არიან იძახიან არ არსებობს ხე რომელსაც ერთ სართულად ამოიყვანენ

შემდეგ რა იქნება

ჩვენ თოვლს სახლის ირგვლივ მოვაბნევთ სანამ სიცივე წამოჰყვება პირველ ნაცარს ველმინდვრებიდან და მეტყველების უნარს დავკარგავთ.

ხელნაწერები დროულად დავწვით ნართქმული თუ უკუთქმული სიტყვები მხოლოდ ერთ ეგზემპლარად არსებობდა და მეორე არცა გვექონია

მხოლოდ არქივში შემონახულ ასლთა ასლებში უნდა თვლემდეს ასე წინმსწრებად დაწერილი ჩვენი ცხოვრება ვინმე სქოლიოთ შემდგენელისთვის

გადამრავლების საქმე ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს როგორ მისდევინ ისტორიას კვალში ფეხდაფეხ გოლიათის მხრებზე შემსხდარნი

თოვლის ირგვლივ მოვაბნევთ ჩვენს ფერფლს სანამ ენას წამოსწყდება პირველი სახლი ხელნაწერებს მინდვრებივით დავანანევრებთ

დროულად დავწვით უკუთქმული ყოველი სიტყვა მთელი ამბავი მხოლოდ იმის გამო ხდებოდა რომ ერთ ვილაცას ჩვენი ცხოვრების ასლი შეექმნა

ნენსი ჰიუნგერი

კათილი იყოს თქვენი მოგრაანება!

აი, ეს არის დღევანდელი მამაო ჩვენო, რომელიც შენ ხარ... ჩვენ ზეცაში ვართ და მორანტე გვიჭირავს ხელში. მითითებები რახანია აინთო და გამცილებლის ხმაც

ალაპარაკდა და იმავს იმეორებს უკვე მუნჯურად, სავარაუდოდ ორმოცი წელი. ეს გვეხმარება ჩაკეტილი სივრცის შიში

სავარძლების ქვემოთ ჩავმარხოთ

და სხეულები სათანადოდ დავიბათ ქამრით. მერე ბინდებუნდში შეგვიძლია ჩავთვლით კიდევ, პეტრის ჭურჭელში ჩადებული პროდუქტებივით.

გამცილებელი შოუს ბოლოს ნიღაბს მოირგებს და გადარჩენილთა ლიტანიას ჩაარაკრავს. ჩვენც ვიმეორებთ: ჯერ მე, მერე ჩემი შვილები.

მოგვიტევე ჩვენ სამამველო ჟილეტი ჩვენი, ცელოფანში შეფუთული არსობის პური, მოგვიტევე განათებული იატაკი და იოლად მოგვაძებნინე გასასვლელი ბილიკები განსაცდელიდან.

მეზობლად მჯდომი ცოდვეს ახსენებს და პირჯვარს იწერს. მე მორანტეს წიგნზე ვუყვები და რომში ინფარქტით გარდაცვლილ გულზე.

ხელები ყველას თბილი გვექონდა, ვიდრე მიწაზე არ დავეშვით, უფრო ზუსტად, „ზედ დავასკდით მისი თეთრი თმების ხლართებში“.

*ციტატა ელზა მორანტეს ლექსიდან: Addio (მშვიდობით) (წიგნიდან: ბავშვების მიერ გადარჩენილი სამყარო. Il mondo salvato dai ragazzini)

მერა რა, ჩემი თუ არ გჯერათ

არც ერთი ხე აღარ ჩანს, ყველას კენწერო დაბლა დაუხრია და ლოცვაში გადაშვებულა, ფესვებს კი ზემოთ ეწვიან ამოსაგლეჯად.

ჩიტები მჭევრად მეტყველებენ ვარდზე, ნიფელზე და კონინდარზე, იშვიათად რომ ითიბება. რადგან ზამთრდება, გვიფუჭდება გამათბობელიც,

ესეც წესია. მე სხვენში ვრჩები და ვეგუები აქაურობას იმ ამბავის დასასრულამდე, ცუდს რომ მიელტვის,

და წიგნებისთვის, არავის რომ აღარ სჭირდება და საბუხრისთვის. ეს ყველაფერი ზუსტად ემთხვევა ჩვენს წარმოდგენას მიცვალებულის საცხოვრებელზე.





ოზლემ ოზულ დუნდარი

როცა საუბარს აზრი ეკარგება

როცა საუბარი აზრს კარგავს და შენი სიტყვები ზედ მეყრება და ითხოვენ რომ აღბეჭდვა უნდათ ჩემს ტანზე და ჩემს სახეზე და მე კუნთები მეკვანძება ვერ უძლებენ რადგან ამ დარტყმას როცა საუბარი აზრს კარგავს და თავს შენი სიტყვების ქვეშ როცა ვხრი დაბლა და სიტყვები დიან სხეულში რომელმაც უკვე აღარ იცის ვინ არის რადგან საუბარი აზრს კარგავს და სიტყვები დიან სხეულში შენი ნათქვამის ქვეშ რომ იხრება

მზარა სხლტება

როცა ფოთლები ირევიან და ერთმანეთთან სკამებს შორის ზურგებით ვდგავართ არ სურთ სიტყვებს ბაგეებს მოსწყდნენ და სხლტება მზერა არ ეძებენ თვალები ერთურთს გადაივინყეს სხეულებმა ის ამბები რაც იყო და რაც აღარ ხდება სურათები არ იხატება როცა ფოთლები ირევიან და ცალ-ცალკე ტრიალებენ უცნობ და უჩვევ სხვადასხვა მხარეს ჩვენ ერთმანეთს ზურგს შევაქცევთ ცალ-ცალკე როცა არ ეძებენ თვალები ერთურთს და სხლტება მზერა იფანტება და სიტყვებს არ სურთ რომ ისინი წარმოთქვას ვინმემ

როცა ქალემა

პისტოლეტი გიჭირავს და ხან ერთ ხელში გადაიტან ხან მეორეში ცეცხლთან თამაშობ და მამის მამა და მამის ძმა კი დარდობენ მამას როცა მოგაქვს ტყვიები სახლში ღამღამობით აქეთ-იქით დაძვრები და მამის მამა აღმოაჩენს იმ შენს დამალულს და ყვება, როგორ შეაგროვეს ქალებმა ერთ დროს ოქრო წაიძრეს ხელებიდან და ერთი შეკვრით როგორ გადმოგცეს შენ ყველაფერი იმით მამა უცხოეთში გაგზავნეს და როცა მამა იხსენებს როგორ იჯდა იმ შეკვრით როგორ წაიძრეს ხელებიდან ქალებმა ოქრო ყველაფერი მოხიკეს მისი მომავლისთვის და მას ის შეკვრა როგორ ეჭირა ხან ერთ ხელში ხან მეორეში

სისხლი რომ მოგდის

როცა ბოსტნულს ჭრი და შვილები სკოლაში მიგყავს და გამოგყავს და ჭურჭელს რეცხავ და

სახლს ალაგებ და დედაშენი თავის აზრებს გახვევს თავზე ხელებზე მხრებზე ფეხებზე და ბოსტნულს რომ ჭრი და საკუთარ თავს რომ ჭრი და შვილებს ბან და ანვენ ნმენდ ყიდულობ დაატარებ ხელში აყვანილთ და დედა თავის აზრებს გახვევს ზურგზე და მკერდზე თმებზე და ზედაც თავის თვალებს განყოფს და ოთხ კედელში სადაც თქვენ ორნი დგახართ ორივე თვალზე იფარებ ხელებს და ფარავ სირცხვილს და დედა თავის აზრებს გახვევს და მოგდის სისხლი რაღაცას რომ ჭრი

თვალის გუბების წინ

ჩაივლიან სურათები თვალის გუბების წინ აქით იქით შავ-თეთრად როცა არა ჰქონდა ფერები ჯერაც სურათებს მოგონებებს ადამიანებს რომ პოზირებდნენ იმ მომენტის შესაჩერებლად სურათები ჩაივლიან თვალის გუბების წინ როცა დედის დედა ყვება თავის დედაზე როგორ აწობდნენ დამტკბარ ჩაიში პურს როგორ კრეფდნენ მინდორში ბამბას თითის წვერების დასისხლვამდე და სურათები თვალის გუბების წინ ჩაივლიან რომლის გარსი ამჩნევს რაღაც უჩინარს შენთვის და ჩემთვის რომ არსებობს შორს აქედან სადღაც სხვა დროში როცა დედის დედა იყო ჯერაც პატარა ცნობისმოყვარე ჯერაც სწავლობდა როგორ ხდება რაღაცეები როცა ის თავის დედაზე ყვება როგორ ცხოვრობდნენ სოფელში როცა ბევრი რამის არსებობა ამ ქვეყანაზე გადმოცემით იცოდნენ მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში ჩაივლიან სურათები თვალის გუბას რომ ეხებიან მოგონებები ადამიანები რომ პოზირებდნენ იმ მომენტის შესაჩერებლად

გერმანულიდან თარგმნა პელა ჩიკურიშვილმა



ტომას სტერნზ ელიოტი

ვეფხვფეხუკიანას უკანასკნელი ბრძოლა

ვეფხვფეხუკიანას — ავაზაკ კატას — ძველ ორჩხომელში ჰქონდა ბუნაგი, იმ მიდამოში არც კი ენახათ მხეცი მასავით სისხლის მსუნაგი. გრეივსენდიდან ოქსფორდშირამდე თავს ისე გრძნობდა, ვით წყალში თევზი და თავმომწონედ დაატარებდა საშინ მეთესახელს — „თავზარი თემზის“.

მისი მიმოხვრა და გარეგნობა ვერც თქვენ მოგჭრიდათ თვალს, სხვა ბევრივით, ქათიბი ჰქონდა პენდაკარგული, მუხლებთან უშნოდ გამობერილი; როგორღაც აკლდა ყურთაგან ერთი — ვინძლო, ჩხუბისას ჩამონათალი, და შეჰყურებდა მტრულად განწყობილ სამყაროს ცალი მრისხანე თვალთ.

მისი წყალობით ჰემერსმიტელებს არ მოჰკლებიათ თავში სახლეი, როთერჰაითის და პატნის მკვიდრებს შიშის ზარს სცემდა მისი სახელი. შემოავლებდნენ ზღუდეს საქათმეს, სულელ ბატს სწრაფად გადამალავდნენ, როგორც კი ჭორი გავარდებოდა: „ვეფხვფეხუკიანას კვალი დალანდეს“.

ვაი მას — ცაში განავარდებულ ბოლოქანქარა ჩიტს კანარისას, ვაი მას — აზიზმაზიზ პეკინეზს, ვეფხვფეხუკიანა რომ განარისხა; ვაი მას — ჯავარაშლილ ბანდიკუტს, უკითხავად რომ სტუმრობს სხვის გემებს, ვაი, ყველა იმ უიღბლო კატას, იმის ალესილ ბრჭყალს ვინც იგემებს.

ყველაზე მეტად გადამთიელებს ელოდათ მაინც მისგან ხიფათი, უცხო გვარის და ჯიშის ფისოებს ამოუკვეთა უზნიდან თათი. სპარსულ კატებს თუ სიამის კატებს ბევრჯერ ამოსცხო მწარე პანდური, რადგანაც სწორედ სიამელ მტარვალს ემსხვერპლა მისი საბრალო ყური.

ერთ მყუდრო ღამეს შუა ზაფხულის, როცა ბუნებაც იქცა ხალისად და მოღვის ყურეს დასთამაშებდა მკრთალი ნათელი საცხე მთვარისა და როცა მთვარის თილისმით მთვრალი იჭავლებოდა წყალი ჟამჟამად, ვეფხვფეხუკიანამ მოულოდნელად სენტიმენტები გამოამყდარა.

გვერდით არ ჰყავდა ჩექმაჩანჩურა, დოსტი, იმ ღამით რომ მოინება ჰემპტონის ახლო სამიკიტნოში წვერის ღვინოში ჩაბიჟინება. გაუფრთხილებლად მიმალულიყო გემის ბოცმანი ბოთებრუტუსი — ტრაქტირის უკან ჩასაფრებული ეპარებოდა ნადავლს ტუსტუსით.

ორჩხომლის კიჩოს სიმყუდროვეში ვეფხვფეხუკიანა მორჭმით ესვენა და მისი თვალის, სულიც და გულიც წარეტყვნა ლედი სალუქმყესებას. ვიდრე მის თავზედ მთვლემარე ხროვას მოეცვა გემი გოჯით გოჯამდე, სიამელებით საცხე ჯონკები და სამპანები ალყად მოჯარდნენ.

სალუქმყესებას გარდა ამქვეყნად ვერვის ამჩნევდა ვეფხვფეხუკიანა და ქალბატონის გულიც დაადნო მისმა სიმღერამ ომახიანმა. ბედს მინდობდნენ ზაფხულის ბანგით და სიყვარულის ჯადოთი მთვრალნი, მაგრამ მთვარის შუქს ისხლტდა იქვე ათასი წყვილი ზურმუხტის თვალი.

სულ უფრო მეტად და უფრო მეტად ვინროვებოდა რკალი მომხდურთა, ათასი წყვილი აქატის ბაგე უსასტიკესი განზრახვით დუმდა. შეხმატებილებულ მიჯნურთა გვერდით სიკვდილი იდგა დადარაჯებით, რადგანაც მტერი შეჭურვილიყო ფინლებითა და ბასრი ხანჯლებით.

ასმეთაურმა ნიშანი მისცა გამძვინვარებულ ურდოს მონღოლთა და შუშუნების გამყივან ხმაზე წვრილთვალა რაზმი ფიცხლად მოგროვდა, ისკუპა თავის სამპანებიან-ჯონკებიანი ესკადრებიდან, რომ ორჩხომელზე მძინარეთათვის უკადრებელი ეკადრებინა.

გულგახეთქილმა სალუქმყესებამ მტერს ერთი მაგრად უკივლ-უწივლა, მაგრამ მალევე გაუჩინარდა, სატრფოსთვის თავი არ გაუჩინარავს. იმედი მაქვს, რომ ცოცხალი დარჩა, მდინარის ფსკერზე არ განისვენა. თუმცა ფოლადის სიცივე იგრძნო მისი მიჯნურის ზორბა კისერმა.

მტერი სულ წინ და წინ მოინედა, ვეფხვფეხუკიანას ფერი ეცვალა და უცებ, მისდა გასაოგნებლად, ფეხქვეშ ფიცარი გამოეცალა. სწორედ იმ მღვრიე, ვერაგ მორევში, ათასი მსხვერპლი რომ ჩაუხრჩვია, თავის ცოდვილი ცხოვრების ბოლოს ჩაეზღარათა და იქმნა უჩინრად.

ზეიმი ჰქონდათ უოპინგელებს, ამ ბედნიერი ამბის გამგებებს, ბრენტფორდში და ვიქტორია დოკში შამფურზე მთელ-მთელ ვირთხებს აგებდნენ. მეიდენჰედის და ჰენლის მკვიდრებს არ მოსწყენიათ წყლის პირას როკვა — და ეროვნული დღესასწაული გამოაცხადა თურმე ბანგოკმა.

ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004